# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 14 აგვისტო 2007 №186 (3109) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# DANKJEWEL!




## შოთა არველაძე ალკმაარს ცრემლით და მადლობით დაემშვიდობა



ასე გააცილა შოთა ლუის ვან გაალმა






# კვალი, რომელიც არ იშლება: ჰოლანდიამ საქართველო იცის!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მუჯირის კუნთი გაწყვეტილია!

**საქართველოს** ნაკრები ლუქსემბურგთან მოახლოებულ მატჩს, შესაძლოა, დანაკლისით შეხვდეს — დავით მუჯირს ტრავმა აწუხებს და შეძლებს თუ არა თამაშს დღეს გაირკვევა.

„თითქოს საშიში არაფერი იყო, როსტოვში გუნდს მაღალი სიცხის გამო ვერ გავყევი — გვითხრა გუშინ მუჯირმა — ფეხიც ოდნავ მაწუხებდა, სურათი გადავიღე და აღმოჩნდა, რომ კუნთი მაქვს გაწყვეტილი. უკვე ორი კვირაა, არ მივარჯიშია. 14 აგვისტოს კიდევ უნდა გადავიღო სურათი და მეცოდინება, შევძლებ თუ არა ვარჯიშის განახლებას. თუ კარგი პასუხი იქნა, და ვარჯიშიც დავიწყე, შესაძლოა, ჩამოვიდე, თუმც არც ის მინდა, ნაკრებს მოუმზადებელი შევუერთდე. ალბათ მაინც მომიწევს ნაკრების ხელმძღვანელობასთან დალაპარაკება და ვითარების ახსნა".

და ერთი სიახლეც: სამარის „კრილია სოვეტოვის" მწვრთნელი სერგეი ობორინი, რომელიც ჩვენებურის მიმართ არც თუ კეთილგანწყობილი იყო, კლუბის ხელმძღვანელობამ გაათავისუფლა და მის მაგივრად ოლეგ ტარხანოვი დანიშნა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მერანის გოცირიძე ან სირბილაძე გაბონს ზესტაფონმაც გახედა?

**საქართველოს** მე-19 ეროვნული ჩემპიონატი კი დაიწყო, მაგრამ კლუბებში ცვლილებები ისევ მოსალოდნელია, რადგან სატრანსფერო ფანჯარა 31 აგვისტომდე ღიაა.

ცვლილებებს გეგმავს თბილისის „მერანი". კლუბი მოლაპარაკებებს მართავს „ზესტაფონთან" ბექა გოცირიძის იჯარით აყვანის თაობაზე. ამ ეტაპზე თავდამსხმელი არც ფეროელებს ეთმობათ, თუმც გიორგი ჭელიძის დამატების შემდეგ, „ზესტაფონს" თავდასხმაში აღარ უჭირს და ამის გამო გოცირიძის მერანული ტრანსფერი გამორიცხული სულაც არ არის.

„მერანს" სათადარიგო ვარიანტიც აქვს — შვედეთის დაბალ ლიგაში მოთამაშე ირაკლი სირბილაძეს სავიზო პრობლემები აქვს და თუ ორიოდ დღეში ვერ მოაგვარა, შესაძლოა, პირველი წრე „მერანში" ჩაამთავროს.

და ერთიც: როგორც შევიტყვეთ, „ზესტაფონი" თავდასხმის გაძლიერებას აფრიკელი ლეგიონერითაც აპირებს, რომელიც, სავარაუდოდ, გაბონიდან უნდა იყოს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ასაკობრივი სპარინგი

**თბილისის** „ოლიმპიკის" სტადიონზე საქართველო 19 და 17-წლამდელთა ნაკრებმა ამხანაგური მატჩი გამართეს — ჰაინც ტოპმიოლერის გუნდმა ჰერბერტ ცანკერის გუნდს 1:0 სძლია.

შეხვედრას სჯიდნენ არბიტრი თორნიკე გვანცელაძე და თანამსაჯები, ხათუნა მაისურაძე და ლალი გახოკია.

შეგახსენებთ, რომ 15 აგვისტოს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები „ამერის" სტადიონზე აზერბაიჯანელ თანატოლებს გაეჯიბრება.

**ინგლისი**
ლიგის თასი. I ეტაპი
პიტერბორო 2:1 საუთჰემპტონი

**გერმანია**
II ბუნდესლიგა. I ტური
ლაუტერნი 1:1 გლადბახი

**საფრანგეთი**
II დივიზიონი. III ტური
ბრესტი 3:1 ბასტია

**შოტლანდია**
პრემიერლიგა. II ტური
კილმარნოკი 2:1 დანდი იუნ.

**დანია**
სუპერლიგა. V ტური
ვიბორგი 1:1 ბრონდბიუ

**ნორვეგია**
ტიპელიგა. XVII ტური
სტაბეკი 1:1 სტარტი

**შვედეთი**
ალსვენსკა. XVII ტური
ჰალმსტადი 1:3 მალმიო
იურგორდენი 1:0 ჰამარბი
სუპერეტა. XIX ტური
ატვიდაბერგი 3:0 იორგრიტე
ენჩიოპინგი 1:0 ნორჩიოპინგი
ჰეკენი 2:0 ლანდსკრონა
ლიუნგსკილე 3:1 სოდრა
სილვია 4:1 სუნდსვალი

**ფინეთი**
ვეიკაუსლიგა. XVII ტური
კტპ 1:2 ჰონკა

**ჩეხეთი**
გამბრინუსლიგა. II ტური
ლიბერეცი 0:0 ბოჰემიანსი

**უნგრეთი**
ბორსოდი ლიგა. IV ტური
უიპეშტი 0:2 კაპოშვარი

„ზესტაფონის" ირგვლივ ამ ბოლო ხანს ინტერესი გაიზარდა — იმერულმა კლუბმა მოსკოვის „ლოკომოტივიდან" გიორგი ჭელიძე ჩამოიყვანა, მალე ახალ სანვრთნელ ბაზას აიშენებს, ცენტრალურ სტადიოს შეიძენს, სამ-ოთხ ფეხბურთელს დაიმატებს და... მოკლედ რომ ვთქვათ, სწორ გზაზე დგას. გუშინ „ზესტაფონის" პრეზიდენტ ილია კოკაიას შევხვდით და ამ და სხვა საკითხებზე ვესაუბრეთ. ბუნებრივია, გვერდი ვერც სანტოსის გახმაურებულ ამბავს ავუარეთ...



# ილია კოკაიას ფილოსოფია: მივხედოთ ქართულ ფეხბურთს!

— საფეხბურთო კლუბის შენახვა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. თანაც საქართველოში ფეხბურთი ჯერჯერობით ბიზნესი ვერ არის — აქ ფულს ხარჯავთ, მაგრამ იცით, მოგება რომ ნახოთ, ამას დიდი დრო სჭირდება...

— მე ღმერთმა მომცა იმის საშუალება, რომ ქართულ ფეხბურთს დავეხმარო და ამით ბედნიერი ვარ. ახლობლები მეუბნებიან, რა ფინანსებსაც გუნდს ახმარ, ნებისმიერი ევროპული ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატის წლიურ აბონემენტს შეიძენ და კარგ ფეხბურთსაც ნახავო, მაგრამ ხომ იცით, ადამიანები ფულს თავისი სიამოვნებისთვის ხარჯავენ და ჩემი სიამოვნებაც საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონია".

**— ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო და თქვენმა გუნდმა შინ ფრე ითამაშა „ვიტ ჯორჯიასთან". რას იტყვით ამ მატჩზე?**

— შეფასებისგან თავს შევიკავებ. მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი: მე მჯერა თემურ მახარაძის.

**— რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ ამ სეზონში?**

— ჩემი გუნდი ყოველთვის მაქსიმუმის მისაღწევად იბრძვის. შარშან თასის ფინალი კიდეც რომ მოგვეგო, ბოლომდე კმაყოფილი მაინც არ ვიქნებოდით. ყველაზე ღირებული საქართველოს ჩემპიონობაა და ამის მისაღწევად წლეულს ვიბრძოლებთ.

**— ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი პრობლემა რა არის?**

— ჩვენი ფეხბურთის თავის ტკივილი და უბედურება იმაშია, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებს საქართველოს ჩემპიონატში თამაში აღარ სურთ და საშუალოზე დაბალი დონის ევროპულ კლუბებში გარბიან. ამით ქართული ფეხბურთი ფაქტობრივად სამარდება. ფეხბურთელი აქ უნდა ჩამოყალიბდეს და შემდეგ უნდა მიდიოდეს საზღვარგარეთ. ფედერაციამ ამ საკითხზე აუცილებლად უნდა დაიწყოს მუშაობა. სამწუხაროდ, აქაური კანონმდებლობით ახალგაზრდა ფეხბურთელთან მხოლოდ სამწლიანი კონტრაქტის გაფორმება შეგვიძლია, რაც ძალიან ცუდია. ვთქვათ, 16 წლის ფეხბურთელთან გავაფორმეთ სამწლიანი კონტრაქტი. ორი წლის შემდეგ ის მოდის, იხდის საკომპენსაციო თანხას და მიდის. მოგეხსენებათ, ფეხბურთელს რამდენი რამ სჭირდება — მას საკმაო თანხებს ახარჯავ, წვრთნი, ზრდი, ის კი დაკრავს ფეხს და წავა. ამიტომ უნდა გვქონდეს ხანგრძლივი კონტრაქტის უფლება. კარგი ფეხბურთელი რომ გახდება, ძლიერ ევროპულ კლუბში გადასვლაში რომელი ჭკუათმყოფელი შეუშლის ხელს?!

**— ქართული ფეხბურთის პრიორიტეტი რა უნდა იყოს?**

— ეროვნულ ჩემპიონატს უნდა მივხედოთ, საქართველოში რამდენიმე უცხოელი მწვრთნელი მუშაობს და ყველა ერთხმად ამბობს, რომ აქ იმდენი ტალანტია, სწორად აღზრდის შემთხვევაში, ქართული ფეხბურთი აუცილებლად ფეხზე დადგება. ამაზე უნდა ვიმუშაოთ. რა თქმა უნდა, კარგი ლეგიონერებიც უნდა ჩამოვიყვანოთ და ახალგაზრდები მათგან ბევრ რამეს ისწავლიან. ეროვნულ ჩემპიონატს რომ მივხედავთ, ნაკრებსაც ეშველება. ეროვნული ნაკრები მხოლოდ ლეგიონერებზე არ უნდა იყოს დაყრდნობილი.

**— თქვენი კლუბის ასაკობრივ გუნდებში რა ხდება?**

— ვერ ვიტყვი, რომ იდეალურად, მაგრამ ამ მხრივაც მიდის მუშაობა. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც საქართველოში დგას, მცოდნე მწვრთნელების ნაკლებობაა. ჩვენთან ლიცენზია ბევრს აქვს, მაგრამ ცოდნა ანბანის დონისაც არ გააჩნიათ. უკვე რამდენიმე ლიცენზირებული მწვრთნელი დავითხოვეთ — მათ ელემენტარული საკითხები არ იცოდნენ და ლიცენზიები ვინ მისცა?! თუ ვინმე მწვრთნელია, მობრძანდეს და დავასაქმებთ — ოთხი-ხუთი მწვრთნელი გვჭირდება, მაგრამ არიან კი?!

**— როგორც ვიცით, „ზესტაფონს" მალე საკუთარი საწვრთნელი ბაზა ექნება...**

— ადგილიც შერჩეული გვაქვს. დაახლოებით 10 ჰექტარი მიწაა, სადაც ექვს-შვიდ მოედანს გავაკეთებთ. ბაზა ევროპული დონის იქნება.

**— ზესტაფონის ცენტრალური სტადიონი ისევ სახელმწიფო საკუთრებაა?**

— მალე სტადიონი აუქციონზე გავა და ალბათ ჩვენი გახდება. წინააღმდეგი არ ვარ, სხვამ აილოს და გააკეთოს მიუხედავად იმისა, რომ მინდვრის საფარის გამოცვლაში და გასახდელების გაკეთებაში საკმაო თანხები დავხარჯეთ. ხოლო ჩვენ თუ ავიღეთ, უეფას მოთხოვნების მიხედვით მეორე-მესამე კლასის სარბიელი გაკეთდება ზესტაფონში.

**— ზესტაფონი ერთ-ერთი მაყურებელმრავალი ქალაქია საქართველოში. პროფლიგის წამოწყებას — ბილეთების გაყიდვას — როგორ შეხვდა ხალხი?**

— ძალიან მიხარია, რომ ზესტაფონში გულშემატკივარი მოვიდა და 600 ბილეთიც გაიყიდა. იმედი მაქვს, მომავალში ეს რაოდენობა გაიზრდება. ფეხბურთი შოუდ უნდა ვაქციოთ, როგორც ეს ყველა ნორმალურ ქვეყანაშია — გულშემატკივარს სტადიონზე კარგი სიტუაცია უნდა დახვდეს, სიამოვნება უნდა მიიღოს.

**— საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და მოსკოვის „ლოკომოტივის" თავდამსხმელი გიორგი ჭელიძე თქვენთან ვარჯიშობს. როდის გადაწყდება მისი საკითხი?**

— უკვე გადაწყვეტილია და იგი ჩვენთან იჯარით ითამაშებს. მოსკოვურ პირობებს ვერ შევუქმნით, ნაკლები ანაზღაურება ექნება, მაგრამ მან ეროვნულ ჩემპიონატში თამაშის სურვილი გამოთქვა, რაც მისასალმებელია.

**— კიდევ ხომ არ აპირებთ ფეხბურთელების დამატებას?**

— სამ-ოთხ ფეხბურთელს დავიმატებთ, ოღონდ ვის, ამას ჯერ ვერ გეტყვით.

**— ბოლოს გახმაურებულ სამარცხვინო ამბავზეც გკითხავთ: ბრაზილიელი სანტოსის მეუღლე შეურაცხჰყვეს და ფეხბურთელი სამშობლოში დაბრუნდა...**

— ძალიან სამარცხვინო ამბავი მოხდა. ჩვენ გავითვალისწინეთ ფეხბურთელის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და ორი თვით გავუშვით სახლში. სამწუხაროდ, გარეწრები ყველგან არიან. ცუდია, რომ ზესტაფონში ასეთი ფაქტი მოხდა. სამართალდამცავები ამ ამბავს იკვლევენ და იმედი მაქვს, დანაშაულს გახსნიან. ყველანაირად ვეცდებით, სანტოსი დავარწმუნოთ, რომ ეს იყო გამონაკლისი შემთხვევა და საქართველოში დავაბრუნოთ.

**ნუკრი ლოლაძე**

## საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 1 ტური


ვარლამ კილასონია ანატოლი პისკოვეცმა შეცვალა


პირველი ტურის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი დინამოელი ჟორჟ აკირემი იყო

გურამ ფოცხვერიშვილის ფოტო

ლოკომოტივი 2:1 ამერი
ოლიმპი 0:2 დინამო
მესხეთი 1:0 მგლები
დილა 1:0 ბათუმი
სიონი 1:1 სპარტაკი
ბორჯომი 1:0 მერანი
ზესტაფონი 1:1 ვიტ ჯორჯია

# მიმო-ხილვა: კარგს ველით!
## პირველის ბევრი პირველი

**აგერ,** დაიწყო საქართველოს მე-19 ჩემპიონატი და ჩვენც ძველებურად შევუდექით ჩვენს საქმეს. მართალია, ჯერ გუნდებმა მხოლოდ თითო მატჩი ჩაატარეს, მაგრამ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ ეს პირველობა ბოლოდროინდელ ჩემპიონატებთან შედარებით გაცილებით საინტერესო და დაძაბული იქნება და, სავარაუდოდ, არც ისეთი გუნდები უნდა გამოჩნდნენ, ჩემპიონატს შუა გზაში მოუხადონ ქუდი და, სულ კარგად იყავითო, თქვან.

პროფლიგის ინიციატივით, მატჩებზე ბილეთები იყიდება, რაც კლუბებისთვის მეტ-ნაკლები შემოსავლის წყარო იქნება; პროფლიგა ეროვნულის მატჩების სატელევიზიო უფლებას ყიდის და გუნდებისთვის ესეც მომგებიან საქმედ ჩაითვლება; უწინდელთან შედარებით და საკითხისადმი პროფლიგის პრინციპული დამოკიდებულების შედეგად მეტ-ნაკლებად მოწესრიგდა კლუბთა ინფრასტრუქტურა, გაიზარდა ლეგიონერთა რაოდენობაც და ჩანს, რომ მაყურებელიც ნელ-ნელა უბრუნდება ტრიბუნას. ვნახოთ, რა და როგორ იქნება, ჩვენ კარგის მოლოდინში ვართ და...

სამ დღეზე გადანაწილებულმა პირველმა ტურმა კი პირველი მწვრთნელიც შეიწირა. ქვეყნის ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპის" უფროსობამ ჯერ გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ზურაბ ჯაფარიძე გაათავისუფლა, „დინამოსთან" წაგების შემდეგ კი მწვრთნელი ვარლამ კილასონიაც მოხსნა. კილასონიას უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზეც — ყაზახურ „ასტანასთან" მოეცარა ხელი და ჩემპიონატის სტარტზეც. აღსანიშნავია, რომ „ოლიმპს" ამ სეზონის არც ერთ მატჩში გოლი არ გაუტანია, ხოლო იქით 5 მიიღო: „ასტანასთან" სამი და ორიც „დინამოსგან" — გაბონელმა ჟორჟ აკირემიმ და მიხეილ ხუციშვილმა „ოლიმპს" რუსთავში გაუტანეს და გუნდიც ცხრილის სათავეში წამოასკუპეს.

მართალია, ამ შეხვედრაში რუსთაველები ერთ გოლს მაინც იმსახურებდნენ, მაგრამ რამდენჯერმე თავდამსხმელებმა ვერ ივარგეს, ერთ-ორ ეპიზოდში კი „დინამო" გაბონელმა მეკარე დიდიე ოვონომ გადაარჩინა. ისე, ამ მეკარის თამაშის სანახავად მართლაც რომ ღირს სტადიონზე მისვლა.

კილასონიას ნაცვლად კი „ოლიმპს" უკრაინელი სპეციალისტი — 59 წლის ანატოლი პისკოვეცი გაწვრთნის, ვინც ბოლოს ახტირსკის „ნეფტიანიკის" სარეზერვო გუნდის თავკაცი იყო. როგორც შევიტყვეთ, მისი თანაშემწე კილასონია იქნება.

პირველმა ტურმა პირველი სენსაციაც მოიტანა. ჭაბუკურმა „ლოკომოტივმა" საჩემპიონოდ ალესილ „ამერს" 0:1 შეუტრიალა და მეორე ტაიმში გატანილი ორი გოლით ამერელები მაგრად დაამწუხრა. ჩემპიონატის პირველი პენალტიც სწორედ ამ შეხვედრაში ვნახეთ — „ყვითლების" ფორვარდმა დიმიტრი ტატანაშვილმა მეწყვილე სულიკო დავითაშვილის წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანი უნაკლოდ შეასრულა. მაგრამ რად გინდა, მატჩის დამთავრებამდე ნახევარი საათით ადრე „ამერმა", ეტყობა, საქმე მოთავებულად ჩათვალა და ჯერ პენალტითვე ირაკლი სამხარაძეს გაატანინა, სულ ბოლო წუთზე კი თავურით ნიკა გუშარაშვილს. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „ამერის" თავკაცმა გიორგი ჩიხრაძემ თქვა, მეორე ტაიმში ჩემი გუნდი სადღაც გაქრა და მხოლოდ „ლოკომოტივი" თამაშობდაო. არადა, გაიხსენეთ, ერთი კვირით ადრე „ამერმა" უეფას თასზე პოლონურ „ბელხატუვთან" როგორი ფეხბურთი ითამაშა.

პირველ ტურშივე ვნახეთ უმაღლესი ლიგის დებიუტანტების — ახალციხის „მესხეთისა" და ზუგდიდის „მგლების" მატჩიც. ახალციხეში 3 500 მაყურებელი დაესწრო თამაშს და უკმაყოფილოც არ დარჩენილა. მასპინძლებმა ერთობ საინტერესო და დაძაბულ ბრძოლაში ზვიად ჩხეტიანის შორეული დარტყმით 1:0 მოიგეს. გოლიდან რამდენიმე წუთში კი მეგრელებს გამოცდილი მეკარე აკაკი დევაძე დაუშავდათ, ხოლო მის ნაცვლად სომხეთიდან დაბრუნებულმა მანუჩარ ივარდავამ ითამაშა.

საინტერესო ამბავი იყო ზესტაფონშიც, იქ „ვიტ ჯორჯია" სტუმრობდა და 11 წუთის შემდეგ იგებდა კიდეც. „ზესტაფონი" ამის შემდეგ, ვიდრე ბოლო წუთამდე, მეტოქეს გააფთრებით უტევდა, მაგრამ მხოლოდ ჟილვან ვიეირას გოლს გამორჩა, რომელიც მან 88-ე წუთზე საჯარიმო დარტყმით გაიტანა.

„ზესტაფონისთვის" უხერხული მეტოქე რომელიმე გუნდზე თუ ითქმის, პირველ ყოვლისა „ვიტ ჯორჯიაზე". გაიხსენეთ, შარშანწინ თბილისელებმა ზესტაფონში 4:0 იმარჯვეს და ახლაც ქულა აიღეს.

დაუძლურებულ და, ფაქტობრივად, დაშლილ ქუთაისის „ტორპედოს" ნაცვლად უმაღლესის მონაწილე გორის „დილამ" კი ძალიან დასუსტებულ „ბათუმს" უმასპინძლა და პირველი სამი ქულაც აიღო. ბექა ჩიტაიამ გურამ სამადაშვილს ჩინებული რეიდი გამარჯვების გოლით დაუფასა. ერთი საინტერესო ფრაზა „ბათუმის" მწვრთნელმა ამირან გოგიტიძემ თქვა: „ჩვენი მხრიდან თამაში თითქმის არ ყოფილა, იყო წვალება".

მცირე გაწევ-გამოწევა, შელაპარაკებით აღინიშნა ჩემპიონატის დაწყება ბორჯომსა და ბოლნისში. „ბორჯომმა" თბილისის „მერანს" უმასპინძლა, მასპინძლებს სამართლიანი თამაშის პრინციპი დაურღვევიათ და ერთადერთი გოლიც ასე გაუტანიათ. მერანელი ვაჟა ლომაშვილი თამაშისას დაშავებულა და ექიმთა დახმარებას ითხოვდა. ბორჯომელებმა კი შეტევა განაგრძეს და შოთა ჯიქიამაც გაიტანა. სწორედ ამ ეპიზოდს მოჰყვა კინკლაობა. საბოლოოდ, ანგარიში აღარ შეცვლილა.

არბიტრ დავით ხარიტონაშვილს შვიდი ფეხბურთელის გაფრთხილება დასჭირდა.

მთლად ბორჯომულად არა, მაგრამ საქმეები მოედანზე ბოლნისშიც გაარჩიეს. „სპარტაკის" მეკარე ბესიკ კოდალაევმა დაახლოებით 60 მეტრი იმიტომ ირბინა, რომ „სიონის" კამერუნელ ფრიდოლინისთვის თითი დაექნია და კორექტული თამაში მოეთხოვა. ფრიდოლინის კი თანაგუნდელები გამოექომაგნენ. ვითარება კოდალაევის გაფრთხილებით განიმუხტა. ამ დროისთვის ანგარიში უკვე 1:1 იყო და, ცხადია, ფეხბურთელები ბევრს ნერვიულობდნენ. ორივე გუნდს თავისი საქმე ჰქონდა. „სიონი" ცხინვალელებთან უეჭველ მოგებას გეგმავდა, სტუმრები კი პირველ ქულას ლამობდნენ. საბოლოოდ ცხინვალელებს გაუმართლათ და მასპინძელთა უდიდესი უპირატესობის მიუხედავად ქულას გამორჩნენ.

ასე დაიწყო ჩვენი მე-19 ეროვნული... გავიმეორებთ, ჩვენ კარგის მოლოდინში ვართ და ვნახოთ, მართლაც რაღაც სხვანაირი მუხტის ჩემპიონატი უნდა გამოვიდეს...

**კობა ინასარიძე**



სიმბოლური ნაკრები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ბორჯომი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| დილა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| მესხეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ვიტ ჯორჯია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ზესტაფონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სპარტაკი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ამერი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| მერანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ბათუმი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| მგლები | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ოლიმპი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

**მეორე ტური**

17 აგვისტო, პარასკევი
მგლები – მერანი
სპარტაკი – ბორჯომი
ამერი – დილა
18 აგვისტო, შაბათი
ბათუმი – ოლიმპი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
მესხეთი – ზესტაფონი
19 აგვისტო, კვირა
დინამო – სიონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შოთა არველაძის ხელი და ცრემლი: წავედი, გმადლობთ!



გასულ შაბათს, ამხანაგური მატჩის დაწყებამდე, რომელშიც „ალკმაარმა" მილანის „ინტერს" უმასპინძლა (4:2), მთელმა სტადიონმა ვულკანივით ამოხეთქა, როდესაც ქართველი ფეხბურთელი შოთა არველაძე გამოჩნდა მოედანზე.
თუმც ეს ის შემთხვევა იყო, როცა შოთა ალკმაარელთა დასახმარებლად არ მისულა, არადა, ამ მატჩში მისი გაცილება იგეგმებოდა, თუმც ახალნაოპერაციები არველაძე ყავარჯნების დახმარებით დადიოდა.
ქართველმა ფეხბურთელმა გულთბილი მადლობა უთხრა გულშემატკივრებს, უკვე ყოფილ გუნდ „ალკმაარს" კი წარმატებები უსურვა ახალ სეზონში.
არველაძის გაცილებამ მატჩის დაწყება შვიდი წუთით დააგვიანა.
გუშინ 2006-07 წლების საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელს ვალენსიაში შევეხმიანეთ, სადაც თავის ახალ კლუბ „ლევანტეს" დაუბრუნდა...

— მართალა, რთული მომენტი იყო — „ალკმაართან" საუკეთესო მოგონებები მაკავშირებს, ერთი ოჯახივით ვიყავით. სამადლობელ სიტყვებს რომ ვამბობდი, თვალებზე ცრემლი მომადგა. თბილი საღამო იყო, სტუმრებიც ბლომად იყვნენ, რომლებმაც დამასაჩუქრეს და თბილი სიტყვები არ დაიშურეს ჩემთვის.

— მუხლზე ოპერაციაც ჰოლანდიაში გაგიკეთეს და ახლა როგორია შენი ჯანმრთელობის მდგომარეობა?

— ოპერაციის შედეგით კმაყოფილი ვარ, თან გადამყვნენ ექიმები. მათ მიმართ მადლობის მეტი რა მეთქმის. სულ ყურადღების ქვეშ ვიყავი. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგადაა.

— რამდენი ხანი უნდა ველოდოთ მოედანზე შოთა არველაძის დაბრუნებას?

— დღეების თვლა მიჭირს, არ მინდა, ამაზე ვიფიქრო. ისე, ექიმების აზრით, ექვს კვირაში უკვე უნდა შევძლო ვარჯიში.

— უკვე ახალ გუნდთან ერთად ხარ. ამ მოკლე დროში შედარებით ვის დაუახლოვდი?

— „ლევანტესთან" ერთად სულ ათი დღე ვივარჯიშე, მერე ჰოლანდიაში მომიწია წასვლამ. ამიტომ ჯერ ყველასთან ჩვეულებრივად ვარ. ერთი ჰოლანდიელი ბიჭია, რიგა, მანამდეც ვიცნობდი, მასთან ვმეგობრობ და მეკარე კუჯოვიჩთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს.

— „ლევანტეს" იტალიელმა ნახევარმცველმა დამიანო ტომაზიმ ერთ-ერთ ინტერვიუში შენზე საკმაოდ კარგად ილაპარაკა — მისი მაღალი კლასი და ოსტატობა გუნდს ძალიან გამოადგებაო...

— კარგია, რომ ამას ამბობენ ჩემზე, მაგრამ... გუნდისთვის ჯერ არაფერი გამიკეთებია...

— ოთხი ქვეყნის, საქართველოს, თურქეთის, ჰოლანდიის და შოტლანდიის ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირი ხარ, მეხუთესაც ხომ არ უმიზნებ?

— არც „ლევანტეა" ის გუნდი, რომ მისი რომელიმე ფეხბურთელი ბომბარდირი გახდეს და მეც საკმაოდ გამიცდება თამაშები, ამიტომ ამაზე არ ვფიქრობ. ფეხმა თუ გამიშვა, ჩემსას ვითამაშებ. რა გამოვა, ვნახოთ...

— კეთილი. მალე გამოჯანმრთელებას გისურვებ!

— გმადლობთ!

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ასათიანმა უკვე დაიწყო: სიმბოლური ნაკრები და ეროვნული ნაკრები

**რამდენიმე** მატჩი დასჭირდა მოსკოვის „ლოკომოტივის" ქართველ უნივერსალ მალხაზ ასათიანს და, შეიძლება ითქვას, უკვე ფორმა აკრიფა. რუსული პრემიერლიგის ბოლო ტურში „ლოკომოტივმა" შინ 3:1 მოუგო ნალჩიკის „სპარტაკს", ჩვენებური კი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე და რუსულმა „სპორტ-ექსპრესმა" სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანა, რაც მიმდინარე სეზონში პირველად მოხდა.

ასათიანმა ამჯერადაც დაცვის ცენტრში ითამაშა, რამდენჯერმე სახიფათო შეტევა ჩაუშალა მეტოქეს და რუსი ჟურნალისტებისგან შეფასებად 6,5 ქულა მიიღო.

შეგახსენებთ, რომ 20 ტურის მერე „ლოკომოტივი" მე-6 ადგილზეა და 12 ქულით ჩამორჩება ლიდერ „სპარტაკს".

ასათიანი კი რამდენიმე დღეში საქართველოს ნაკრებს ლუქსემბურგში გაჰყვება და პირველად მოირგებს ეროვნული გუნდის მაისურას ათთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ.

**ბახა შალამბერიძე**

# რაპიდი წაგებული მოდის

**ზეგ** თბილისის „დინამო" უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ვენის „რაპიდს" უმასპინძლებს.

თბილისში ჩამოსვლამდე ავსტრიულმა კლუბმა კიდევ ერთი მატჩის გამართვა მოასწრო თავისი ქვეყნის ჩემპიონატში — სტუმრად ეთამაშა „ლინცერს" და 0:2 დამარცხდა.

ექვსი ტურის შემდეგ „რაპიდს" 10 ქულა აქვს და მესამე-მეექვსე ადგილებს იყოფს „შტურმთან", „აუსტრიასთან" და „ლინცერთან", ლიდერ „მატერსბურგს" კი მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება.

„ლინცერთან" „რაპიდმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *პაიერი, პატოჩკა, ჰიდენი (ბოშკოვიჩი 46), კაცერი, ტოკიჩი, კულოვიტცი (ქორქმაზი 46), ჰეიკინენი, ჰოფმანი, კავლაკი (ჰოფერი 63), ბაზინა, ბილიჩი.*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ნუ გაგვეცინებათ!

## 0:14 და 0:18 წააგო მწვრთნელმა, რომელიც ძალიან კმაყოფილია

**მოსკოვში** უეფას თასის 2007-08 წლების გათამაშების ჯგუფური ეტაპი იმართება, სადაც თბილისის „დინამოს" ქალთა გუნდიც მონაწილეობს. მე-7 შესარჩევ ჯგუფში დინამოელებთან ერთად რუსეთის „როსიანკა", უკრაინული „ჟილსტროი 1" და მაკედონიური „ნაპრედნაკი" თამაშობენ.

„დინამოს" ევროდებიუტი სამარცხვინო გამოდგა — 0:14 „ჟილსტროი 1"-თან და 0:18 „როსიანკასთან". თუმცა, გაგიკვირდებათ და, თვით რუსული საინფორმაციო სააგენტოები გვამცნობენ, რომ დიდი ანგარიშით წაგების მიუხედავად, ქართველები საფინალო სასტვენამდე თავგანწირვით იბრძოდნენ.

თქვენ წარმოიდგინეთ, გუნდის თამაშით უკმაყოფილო არც მწვრთნელი მაია ჯაფარიძე დარჩენილა. ამის შესახებ მან „როსიანკასთან" მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „ვუყურებდი, როგორი მონდომებით თამაშობდნენ გოგონები, როგორ სურდათ, თუნდაც ერთი ბურთის გატანა, მაგრამ არა უშავს. საქართველოში ქალთა ფეხბურთი დიდი ხნის მანძილზე არ არსებობდა, ჩვენ ახლა ვიდგამთ ფეხს და ვსწავლობთ. როგორ სასაცილოდაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. მათი განწყობა და ბრძოლისუნარიანობა მომეწონა. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს ვეთამაშეთ."

„როსიანკას" წინააღმდეგ „დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ჭკუასელი, მალიძე, გოგსაძე, პასიკაშვილი, მეზვრიშვილი (ტატუაშვილი 72), მატვეევა, ქინქინაძე, კახიძე, ჩანგელია, პოლოსიანი (ციცქიშვილი 23), ჭყონია.*

დღეს „დინამო" „ნაპრედნაკს" შეხვდება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



შოთა არველაძე და კრისტიან კივუ



ლუიშ ფიგუ და შოთა არველაძე

# ვენტსპილსმა იმედაშვილი მეორე ცდაზე ინათხოვრა

**ლატვიურმა** „ვენტსპილსმა" კიევის „დინამოს" ქართველი ფეხბურთელი დავით იმედაშვილი სეზონის ბოლომდე ინათხოვრა.

ლატვიური კლუბის მთავარი მწვრთნელი რომან გრიგორჩუკი იმედაშვილს კარგად იცნობს — ზამთარში ხომ ქართველი მცველი „ვენტსპილსს" თურქულ შეკრებაზე ახლდა.

მაშინ „ვენტსპილსი" და „დინამო" ვერ მორიგდნენ. ახლა, კი, როცა ლატვიის ჩემპიონატში 19 ტური მიილია, იმედაშვილმა ლურჯ-ყვითელი მაისურა მაინც მოირგო.

იმედაშვილი კიევის „დინამოში" „ვიტ ჯორჯიადან" გადავიდა, მაგრამ ძირითადში ვერ ხვდებოდა და სათამაშო პრაქტიკაც აკლდა. ახალ გუნდში გადასვლით კი ქართველი ფეხბურთელი გახარებულია...

„სასიამოვნოა, რომ „ვენტსპილსში" მაინც მოვხვდი. თურქული შეკრებიდან კარგი მოგონებები გამმოყვა, ხოლო მას შემდეგ, რაც ლატვიაში ჩემპიონატი დაიწყო, „ვენტსპილსის" თამაშებს თვალს ვადევნებდი. სათადარიგოთა სკამზე ჯდომა მომბეზრდა, მინდა, ვითამაშო და ახალ გუნდს დავეხმარო" — განაცხადა იმედაშვილმა.

გუშინ კი „ვენტსპილსმა" მორიგი მატჩი გამართა და სტუმრად 5:0 მოუგო „ოლიმპს", იმედაშვილი განაცხადშიც არ იყო, ხოლო „ვენტსპილსის" მეორე ქართველმა ზურაბ მენთეშაშვილმა ძირითადში ითამაშა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჟოზეს ჩელსი, ჟოზეს ჟოზე




**„ჩელსიმ“** ახალი რეკორდი დაამყარა, შინ დაუმარცხებლად თამაშის რეკორდი.

კვირას, როდესაც ლონდონელმა „ლურჯებმა“, პრემიერლიგის პირველ ტურში, „ბირმინგემს“ 3:2 მოუგეს, გრაფაში, ზედიზედ წაუგებელი საშინაო მატჩები, 64 ჩაეწერათ. ყველაფერი ძალიან იოლი გადასამოწმებელია — ბოლო, ვინც „სტემფორდ ბრიჯზე“ „ლურჯები“ დაამარცხა, „არსენალი“ იყო. ეს ამბავი 2004 წლის თებერვალში მოხდა, ლონდონელთა მწვრთნელად ჟოზე მაურინიუს მისვლამდე.

და, არ გაინტერესებთ, ვინ იყო წინა რეკორდსმენი და როდის ჰქონდა ეს რეკორდი დამყარებული? გიპასუხებთ: ეს იყო „ლივერპული“, რომელმაც „ენფილდ როუდზე“ ზედიზედ 63 შეხვედრა 1978-81 წლებში არ წააგო. ეს ის „ლივერპულია“, რომელშიც კენი დალგლიშები და ალან ჰანსენები დაფრინავდნენ და რომელიც... 1979 წელს, თბილისში „დინამოსთან“ 0:3 დამარცხდა — ერთი სიტყვით, ყოვლმხრივ ლეგენდარული გუნდი.

და რას ამბობს იმ უდიდესი „ლივერპულის“ რეკორდის მოხსნაზე „ჩელსის“ თავკაცი ჟოზე მაურინიუ?

„ახლა სახლში წავალ და გავიხსენებ ყველა იმ ფეხბურთელს, რომელმაც ამ რეკორდის დამყარებაში მონაწილეობა მიიღო და თავისი წვლილი შეიტანა. ზოგი მათგანი დღეს ლონდონის „ჩელსის“ მოთამაშე აღარ არის, მაგრამ მინდა, თითოეულ მათგანზე ვიფიქრო. გუდიონსენი, ჯერემი, დაფი... ეს ფეხბურთელებიც ხომ ამ ფანტასტიკური რეკორდის შემქმნელები გახლდნენ.

მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს რეკორდი კლუბისთვის გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ჩემთვის. ყველამ იცის, რომ წინა რეკორდსმენი „ლივერპული“ იყო და მასში ისეთი ვარსკვლავები თამაშობდნენ, როგორებიც იყვნენ დალგლიში, ჰანსენი, ფილ ნილი და მათი თაობა. ამიერიდან ეს რეკორდი ისეთი ვარსკვლავებისაა, როგორებიც გახლავან ტერი, ლამპარდი, გუდიონსენი და სხვა ბიჭები, რომელთაც ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს. „ჩელსიმ“ ისტორიის წიგნში კვლავ ჩაწერა თავისი სახელი და ეს დიდებულია. ბუნებრივია, მეც უბედნიერესი კაცი გახლავართ, რადგან ამ რეკორდის მონაწილე მეც ვარ“.

და გინდათ, საკუთრივ მაურინიუზე გითხრათ ძალიან საინტერესო რამ? ის ხომ „ჩელსიში“ გადასვლამდე „პორტუს“ ედგა სათავეში და თუ იმ წლებში, როდესაც მათ მაუ ედგათ სათავეში, ამ ორი გუნდის საშინაო თამაშების სტატისტიკას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ პორტ[illegible] მწვრთნელს თავის წილ[illegible]გია.

ჰოდა რა გამოდის? გამოდის ის, რომ თუ „ჩელსიმ“ „სტემფორდ ბრიჯზე“ „პორტსმუთთანაც“ არ წააგო, მაურინიუ გახდება მწვრთნელი, რომელმაც შინ მარცხი რა არის, აგერ უკვე ასი შეხვედრაა, არ იცის.

ისევ მაურინიუ: „მე მხოლოდ 99 საშინაო შეხვედრაში არ წამიგია და იმედი მაქვს, ჩემი მეგობარი ჰარი რედნაპი საიუბილეო მეასე გამარჯვებაში ხელს ვერ შემიშლის. ძალიან მინდა, ეს შედეგი ასამდე ავიყვანო“.

ლონდონელთა საუცხოო სვლას და რეკორდს თავისი წილი პატივი „ბირმინგემის“ მწვრთნელმა სტივ ბროუსმაც მიაგო:

„ლონდონელთა რეკორდი ძალიან შთამბეჭდავია და მე მის წინაშე ქედს ვიხრი. განსაკუთრებით მათი მწვრთნელის წინაშე ვიხრი ქედს. ფეხბურთელები სამი წლის განმავლობაში მაქსიმალური ყურადღებით ათამაშო, უდიდესი შედეგია. ამას მწვრთნელის დიდი ძალისხმევა და ნიჭი სჭირდება. ასევე საჭიროა ფეხბურთელების უდიდესი ნიჭი და ძალისხმევაც“.

ასე რომ, ველოდებით „პორტსმუთთან“ მატჩს.

**პაპუნა ქედია**

# ვინ შეუტევს რუსებს?
## ინგლისში 2006 წელი დაბრუნდა

**უეინ რუნიმ** პრემიერლიგის პირველსავე ტურში ფეხი მოიტეხა და... „მანჩესტერ იუნაიტედი“? ეგ ხომ თავისთავად, მაგრამ ინგლისის ნაკრების საკმაოდ მძიმე სვლა ევროპის 2008 წლის ჩემპიონატისკენ კიდევ უფრო დაამძიმა.

მანჩესტერელთა 21 წლის თავდამსხმელი რედინგელ მაიკლ დაბერისთან შეჯახების შემდეგ მოწყვეტილივით დაეხეთქა მოედანზე. მოგვიანებით, საავადმყოფოში ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ რუნი სერიოზულად არის დაშავებული და ის, შესაძლოა, ორი თვის განმავლობაში ვერ დაბრუნდეს მოედანზე.

გამოდის, რომ ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა სტივ მაკლარენმა სექტემბერში ისრაელსა და რუსეთთან მოახლოებული უმნიშვნელოვანესი შესარჩევი თამაშების წინ წამყვანი ფეხბურთელის შემცვლელი უნდა იპოვოს.

პიტერ კრაუჩი?

ლივერპულელი თავდამსხმელის მონაწილეობა ისედაც გამორიცხულია, რადგან ის დისკვალიფიცირებული გახლავთ.

რაც შეეხება „ნიუკასლ იუნაიტედის“ ფორვარდ მაიკლ ოუენს, იგი აგვისტოს ბოლომდე ბარძაყგაჭიმულია და, შესაძლოა, ფორმაში დროულად შესვლა გაუჭირდეს, ხოლო „ვესტ ჰემის“ დინ ეშტონი კი მოტეხილ ფეხს მთელი წელიწადი მკურნალობდა და ახლაღა დაიწყო ვარჯიში.

თუ გახსოვთ, უეინ რუნი 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინა



პერიოდშიც ამდაგვარ ტრავმას მკურნალობდა და ნახევარწლიანი პროცედურები ზედ მუნდიალის წინ დაასრულა.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა „რედინგთან“ მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა:

„ნეტავ, ეს ტრავმა ზუსტად იმდაგვარი არ იყოს, რუნის შარშან რომ აწუხებდა. არადა, რაღაც მტკივნეული რომ არის, ფაქტია, წამომდგარი იმ ფეხს ველარც კი ეყრდნობოდა. შემდეგ გაუსივდა“.

და რა გამოსავალი უნდა ნახოს ფერგიუსონმა „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“? ეს გამოსავალი, სავარაუდოდ, ახალშეძენილი კარლოს ტევესის თამაში იქნება.

„ტევესის ვარიანტზეც დავფიქრდები, თუმცა აჯობებდა, არგენტინელს რამდენიმე დღით მეტი ევარჯიშა“.

მოგეხსენებათ, ტევესის „ვესტ ჰემიდან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლის ამბავი მთელი ზაფხულის განმავლობაში გვარიანად გაიწელა და ფეხბურთელს მანჩესტერელებთან ერთად ვარჯიშის საშუალება არ მისცა, ასე რომ, ეს ნიჭიერი თავდამსხმელი, სავარაუდოდ, მოუმზადებელია — საუბარია ოთხშაბათ საღამოს „პორტსმუთთან“ შეხვედრაზე.

**პაპუნა ქედია**



ეროვნული ბიბლიოთეკა


AFP




# სად არის ეგ თქვენი ბექზი?!

## დევიდ ბექემს კოჭი არა და არ უშვებს

**დევიდ ბექემმა** მოედანზე დაბრუნება თავს ნატკენი კოჭის სრულ მოშუშებამდე რომ აიძულა, ხომ იცით? ჰოდა, როგორც ინგლისური გაზეთები იუწყებიან, ახლა სწორედ ამ აჩქარებისთვის ისჯება — ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტანს ამერიკის ჩემპიონატის, ანუ MLS-ის მორიგი თამაშის გამოტოვება მოუხდა. ეს შეხვედრა, რომელიც ბექზმა გამოტოვა, გახლდათ „ლოს ანჯელეს გალაქსის" მატჩი „ნიუ ინგლანდ რევოლუშენთან".

შეგახსენებთ, რომ დევიდ ბექემმა MLS-ში პირველად გასულ ხუთშაბათს, „DC იუნაიტედის" წინააღმდეგ ითამაშა. ის შეხვედრაში ბოლოს ჩაერთო, 18 წუთი დაყო მოედანზე, რის მერეც მისგან მეტს და მეტს ელოდნენ, მაგრამ ვაგლახ.

ახლა ინგლისელი ვარსკვლავი აცხადებს, რომ ყველაფერში თავად არის დამნაშავე:

„წინა მატჩის შემდეგ კოჭი ცოტა მტკივა კიდეც და ფრენისგან გასივებულიც გახლავთ. ახლა დაველოდოთ და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. მოედანზე გასვლა და პატარა გაქცევა-გამოქცევა ცუდი ნამდვილად არ იყო, მეტი დატვირთვა კი ჯერჯერობით ნამდვილად არ მინდოდა".

ბექემი 32-ათასიან „ჯილეტ სტედიუმზე" თანაგუნდელებს კი ახლდა, მაგრამ სათადარიგოთა სკამზე იჯდა და ამერიკული პუბლიკაც კიდევ ერთხელ დატოვა გაწბილებული.

როგორ ეგ კაცი კიდევ არ თამაშობს? — აი, კითხვა, რომელიც ბილეთებში ფულის გამღებ ამერიკელებს აღაშფოთებს. ტრიბუნებზე ანტიბექემური ლოზუნგებიც კი გამოჩნდა.

**ბაჩუნა ძიძია**

# რომა და ნაშა დაშა


დაშა და რომანი „სტემფორდ ბრიჯზე"



**„ჩელსის"** მეპატრონემ, რუსმა მილიარდერმა და ჩუკოტკის გუბერნატორმა რომან აბრამოვიჩმა ინგლისის საზოგადოებრიობას ახალი სატრფო წარუდგინა, თუმცა... რაღაც ისე ვერ ვთქვით, ხომ იცი. ჯერ ერთი, დარია ჟუკოვაზე, ახალი სატრფოო, რომ დაგვიჩემებია, ამ ნათქვამიდან ლოგიკურად ისე გამოდის, რომ რომან არკადიევიჩს წინა სატრფოც ჰყავდა, წინა კი, ჰაი-ჰაი, რომ სატრფო არ იყო, ის ცოლი გახლდათ და ისეთი... ოთხი შვილის დედა, სახელად ირინა, ქმართან გაცილების შემდეგ 6 მილიარდი გირვანქის პატრონი.

სატრფოო!

აი, დარია ჟუკოვა კი ნამდვილად სატრფოა, ოღონდ ეგეც კარგი მილიონერია, ჩვენმა მზემ — არ გეგონოთ, რომ არკადიევიჩმა ბროლის ფეხსაცმელი იპოვა და კვალს გაჰყვა. დაშა ისეთი გოგოა და ისეთი ოჯახიდან არის, იქით იპოვის, ვის ფეხსაცმელსაც გინდა.

ერთი სიტყვით, რომან არკადიევიჩი და დარია ჟუკოვა პრემიერლიგის პირველ ტურში, „სტემფორდ ბრიჯზე" ვიპ-ლოჟაში ერთად მიბრძანდნენ — აი, ამის თქმა გვინდა ამდენი ხანია და თავი ვერ მოგვიბამს.

ისე, ეს პირველი შემთხვევა არ იყო, როდესაც მისტერ აბრამოვიჩი დარიასთან ერთად გამოჩნდა, ეს პირველად ჯონ ტერის ქორწილში მოხდა, მაგრამ ქორწილი მაინც ვიწრო წრეა, ტელეკამერების წინაშე ტრიალი კი სხვა გახლავთ.

ნუ, რომანი და დაშა ერთად ვენეციასა და პარიზშიც უნახავთ, მაგრამ ამაზე ახლა არ გვაქვს ლაპარაკი.

ამბობენ, რომან არკადიევიჩი დარიას ცოლად მოიყვანსო. შეიძლება, რას გაუგებ კაცი მილიარდერებს. ერთი ფაქტია, რომ მან მადამ ჟუკოვას უკვე უყიდა სასტუმრო-კუნძული, ანუ თან სასტუმრო და თანაც კუნძული წმინდა სტეფანი.

ცნობისთვის: წმინდა სტეფანი გახლავთ პაწაწინა კუნძული ჩერნოგორიაში, რომელზეც 411 ადამიანი ცხოვრობს. ის მე-15 საუკუნეში მეთევზეთა სოფლად დაარსდა, ბოლო ხანს კი, იცოცხლეთ, აქ დასასვენებლად დარბოდნენ ვილი ბრანდტი, ბობი ფიშერი, ბორის სპასკი, სოფი ლორენი, ქმარი მისი კარლო პონტი, მონიკა ვიტი, ინგემარ სტენმარკი, კირკ დუგლასი, ჯონათან მილერი და კლაუდია შიფერი.

ახლა დაშასია.

**ბაჩუნა ძიძია**


ირინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავსტრალიური ქველმოქმედება ზიდანი ბექჰემის წინააღმდეგ

**ზინედინ ზიდანი** თანახმაა, ითამაშოს „სიდნეის“ შემადგენლობაში „ლოს ანჯელეს გალაქსის“ წინააღმდეგ საქველმოქმედო მატჩში, რომელიც 27 ნოემბერს ავსტრალიაში გაიმართება. მთელი შემოსავალი „ზიდანის ფონდში“ გადაირიცხება. მათ შორის, 250 ათასი დოლარი საკუთრივ ზიზუს ჰონორარიც. სწორედ ამდენს უხდიან ორგანიზატორები „რეალის“ ყოფილ მოთამაშეს.

ფრანგმა მატჩში ფაბიენ ბარტეზის მონაწილეობაც მოითხოვა. 15 აგვისტოს პარიზში ზიდანის აგენტები კიდევ ერთხელ შეხვდებიან ორგანიზატორებს დეტალების დასაზუსტებლად.

36 წლის ბარტეზმა კარიერა წინა სეზონის ჩამთავრებამდე დაასრულა — იგი „ნანტში“ იყო და 11 მატჩში ითამაშა. ერთ-ერთი ტურის შემდეგ „ნანტის“ ქომაგები სტადიონის გარეთ დახვდნენ და ცემა დაუპირეს. ამიტომაც მიანება თავი ფეხბურთს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა მეკარემ.

**ვაჟა ხუციშვილი**



## ბრაზილია

### სერია A. XIX ტური

ფლუმინენსე — სანტოსი 3:0; პარანა — ვასკუ და გამა 0:0; ამერიკა — კრუზეირო 1:2

## ჩილე

### კლაუსურა. IV ტური

ლოტა — უნივ. კათოლიკა 0:1

## მექსიკა

### აპერტურა. II ტური

ამერიკა — ხაგუარესი 6:1

## არგენტინა

### აპერტურა. II ტური

არგენტინოს ხუნიორსი — ბოკა ხუნიორსი 3:2

## აშშ

### მეიჯორლიგა. XX ტური

რედბული — ტორონტო 3:0; ნიუ ინგლენდი — ლოს ანჯელესი 1:0





AFP

# იტალიას სახელი გაუტყდა?

## პლატინიმ დომენეკს ენაზე აკბენინა

**ამ** რამდენიმე დღის წინ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა რაიმონ დომენეკმა „ლე პარიზიენთან“ საუბარში, შეიძლება ითქვას, სკანდალური განცხადება გააკეთა, რომელიც იტალიის ნაკრებს და მსაჯების მოსყიდვას ეხება.

მოგეხსენებათ, იტალიისა და საფრანგეთის ნაკრებები საქართველოსთან, შოტლანდიასთან, უკრაინასთან და ფარერებთან ერთად ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის მე-2 შესარჩევ ჯგუფში არიან. 8 სექტემბერს „მამლები“ „სკუადრა ატურას“ „სან სიროზე“ სტუმრობენ და ამ შეხვედრის შედეგის მნიშვნელობაზე ალბათ ზედმეტი საუბარი საჭირო არც არის.

დომენეკის სიტყვებმა მატჩამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე ვითარება კიდევ უფრო დაძაბა. მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ იტალია-საფრანგეთის ისტორიულ დაპირისპირებას, 2006 წლის მუნდიალის ფინალს და ასე შემდეგ. მნიშვნელოვნად გაიზარდა ფანებს შორის შესაძლო შეხლა-შემოხლის ალბათობაც.

„მთავარი პრობლემა, შესაძლოა, მსაჯები გახდნენ, მაგრამ ეს ყოველთვის პრობლემაა იტალიასთან. მაგალითად, გავიხსენებ 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევ მატჩს იტალიისა და საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებებს შორის. აპენინელებმა მსაჯი მოისყიდეს, რომელიც სალცარ გადაწყვეტილებებს იღებდა. ამგვარი რამ ერთხელ შეიძლება შემთხვევითობა გეგონოს და თან ფაქტების გარეშე საუბარი ძნელია, მაგრამ ცოტა ხნის წინ განვითარებული მოვლენების მიხედვით ვიცით, რომ იტალიურ ფეხბურთში მთლად სუფთად არ არის საქმე“ — განაცხადა დომენეკმა.

შემდეგ 55 წლის სპეციალისტმა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი გაიხსენა და... მარკო მატერაცი შეაქო.

რაიმონ დომენეკი: „მან გაიტანა გოლი, მსაჯს ჩვენი საუკეთესო მოთამაშე გააგდებინა და პენალტების სერიაშიც ზუსტად დაარტყა. ასე რომ, ფინალის საუკეთესო მოთამაშე მატერაცი გახლდათ და არა ანდრეა პირლო. შეურაცხყოფა კარგი არ არის, მაგრამ სხვისი პროვოკაციაზე წამოგება კარგად ცნობილი რამ არის. ეს ყველა სპორტში ხდება, ფრენბურთშიც კი, რომელშიც მოთამაშეებს ერთმანეთთან ბადე აშორებთ. შეგიძლია, მინდორზე მეტოქე წყობიდან გამოიყვანო და ეს შენი გუნდის სასარგებლოდ გამოიყენო. პროვოკატორი თავის გუნდს ეხმარება და სიძლიერეს ამჟღავნებს, ხოლო ის, ვინც წყობიდან გამოდის, სისუსტეს იჩენს“.

„მამლების“ მწვრთნელი ასევე მოულოდნელად გადაერთო იტალიური ფეხბურთის ქებაზე.

„შეგვიძლია, რაც გვინდა, ის ვთქვათ, მაგრამ ფაქტია, რომ იტალიელებს განსაკუთრებული, საოცარი მოთამაშეები ჰყავთ და მათ პატივს ვცემ. ისინი ყველაზე რაციონალურ, გააზრებულ და შედეგიან ფეხბურთს თამაშობენ ევროპაში და, შესაძლოა, მსოფლიოშიც. მე ეს მომწონს. დანარჩენი „სან სიროზე“ გამოჩნდება 80 ათასი ქომაგის თვალწინ, რომლებიც ჩვენზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენას შეეცდებიან“ — დასძინა ფრანგთა თავკაცმა.

დომენეკის სიტყვებს მსაჯის მოსყიდვასთან დაკავშირებით, ცხადია, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. პირველ რიგში უეფას იტალიური ფესვების მქონე ფრანგი პრეზიდენტის მიშელ პლატინის მხრიდან.

„თუ დომენეკი თავის სიტყვებს ფაქტებით ვერ გაამყარებს, იგი დაისჯება. ჩვენ გავუგზავნით წერილს საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციას და ყველაფრის გარკვევას მოვითხოვთ. თუ ისინი ფაქტებს ვერ წარმოადგენენ, როგორც ვთქვი, მწვრთნელი დაისჯება“ — აღნიშნა პლატინიმ.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ და მისმა მმართველებმა საგანგებო განცხადებების გაკეთება საჭიროდ არ ჩათვალეს და მწვავე რეაქცია არ ჰქონიათ. უბრალოდ, აღნიშნეს, საერთაშორისო მატჩებზე მსაჯებს საერთაშორისო ორგანიზაციები, ფიფა და უეფა ნიშნავენ და არა იტალიის ფეხბურთის ფედერაციაო.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ კი მალევე მოიხადა ბოდიში. კერძოდ, მისმა პრეზიდენტმა ჟან-პიერ ესკალეტმა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ჯანკარლო აბეტეს დაურეკა და მოუბოდიშა.

„დომენეკის სიტყვები მხოლოდ მის პირად მოსაზრებას ეყრდნობოდა. დარწმუნებული ვარ, „სან სიროზე“ მატჩი ყოველმხრივ სპორტულ ატმოსფეროში ჩაივლის, ისე, როგორც ჩაიარა საფრანგეთი — იტალიის პირველმა შეხვედრამ შარშან სექტემბერში პარიზში“ — თქვა ესკალეტმა.

იტალიის ნაკრებისა და „მილანის“ ნახევარმცველი ჯენარო გატუზო: „მაშინ მეც ახალგაზრდულ გუნდში ვიყავი და ვერ გავიგე, რა ალაპარაკებს დომენეკს. ბრწყინვალე მატჩი იყო, რომელიც თავისუფლად შეიძლებოდა საფრანგეთსაც მოეგო. თუ მას უნდა, მზად ვარ, იმ შეხვედრის ვიდეოჩანაწერს ერთად ვუყუროთ და გავარჩიოთ, იყო თუ არა მსაჯი მოსყიდული. არ მესმის, რატომ გააკეთა დომენეკმა ამგვარი განცხადება. თუმც ამ თემაზე საუბრის გაგრძელება აღარ მინდა, რადგან იტალია — საფრანგეთის შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია და არ მსურს, ვითარება უფრო დავძაბო“.

„დომენეკმა იცის, რომ იტალია — საფრანგეთის მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია და ცდილობს, აურზაური ატეხოს. თუ რაც თქვა, ყველაფერი მართალია, მაშინვე რატომ არ გააკეთა ეს განცხადებები? იგი ამ ხერხით ცდილობს 8 სექტემბრის შეხვედრის მსაჯზე გავლენის მოხდენას. სამწუხაროა, მაგრამ ასეა“ — აღნიშნა „სკუადრა ატურას“ მენეჯერმა ლუიჯი რივამ.

ყველაზე კატეგორიული და მკაცრი კი იტალიელთა მხრიდან „ატურინის“ იმდროინდელი მწვრთნელი მარკო ტარდელი გახლდათ, რომელმაც დომენეკს იდიოტი და „ლუზერი“, ანუ „მუდამ დამარცხებული“ უწოდა.

„ყველაფერი, რასაც დომენეკი მაშინ ამბობდა და ახლა ამბობს, სისულელეა. მას მოსწონს ასე მოქცევა და ცდილობს, მეტოქე პროვოკაციაზე წამოაგოს. ეს ორმატჩიანი პლეი ოფი იყო და ალბათ პირველი შეხვედრის მსაჯიც უნდა მოგვესყიდა. შესაძლოა, დომენეკი ცდილობს, წინასწარ გაიმართლოს და დაიზღვიოს თავი, თუ საფრანგეთი 8 სექტემბერს „სან სიროზე“ წააგებს. ისე კი, მისთვის პასუხის გაცემა უაზრობად მეჩვენება“ — თქვა ტარდელიმ.

2000 წლის სიდნეის ოლიმპიადის შესარჩევი შეხვედრა 1999 წლის 17 ნოემბერს იტალიაში 1:1 დასრულდა, ისევე, როგორც პირველი მატჩი საფრანგეთში. საბოლოოდ „ატურინიმ“ დამატებით დროში იმარჯვა.

იმ შეხვედრას კარლოზო კორტესი წვრთნიდა, რომელმაც ფრანგებს კრისტიან ბასილა გაუძევა, ვინც რობერტო ბარონიოს ჩაარტყა არასათამაშო ეპიზოდში და ეს ერთ-ერთმა თანამსაჯმა შენიშნა.

მარკო ტარდელი: „იქნებ სჯობდეს, საპასუხოდ დომენეკს ვკითხოთ, თუ რატომ ვერ მიაღწია უფრო მეტ წარმატებას საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების სხვადასხვა თაობებთან ერთად, რომლებმაც მის ხელში გამოიარეს. მას არასდროს არაფერი მოუგია. ასე რომ, ეს „ლუზერის“ იდიოტური განცხადებებია“.

აღვნიშნოთ, რომ ევროპის 21-წლამდელთა ჩემპიონატების ისტორიაში იტალია ყველაზე ტიტულიანია. „ატურინის“ ეს ტურნირი 1992, 1996, 2000 და 2004 წლებში მოუგია.

და ბოლოს, დომენეკი გააკრიტიკა დავიდ ტრეზეგემაც. მოგეხსენებათ, ტურინის „იუვენტუსის“ ფრანგ ფორვარდს ეროვნული ნაკრების მწვრთნელთან არცთუ კარგი ურთიერთობა აქვს.

„წავიკითხე მისი სიტყვები და გაოცებული დავრჩი, რა სირცხვილია... ასე ლაპარაკით და ქცევით დომენეკმა მთელი საფრანგეთისა და ზოგადად საფეხბურთო სამყაროს რეპუტაცია შელახა. იგი ლაპარაკობს, რათა, უბრალოდ, ილაპარაკოს. რაც შემეხება მე, თებერვლის მერე არ მივუწვევივარ. თუ 22 აგვისტოს სლოვაკეთთან მატჩისთვის გამომიძახებს, ხომ კარგი, მაგრამ თუ არა, არა უშავს, მოვითმენ“ — თქვა ტრეზეგემ.

**გიორგი ქაქაბაძე**

# არსენალი ლიგას ვერ მოიგებს



**ჩემპიონთა** ლიგის მონაწილე ბრიტანული კლუბებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი კვირა დადგა — წერს წარსულის ინგლისელი ვარსკვლავი, 1979 წელს თბილისში, „ლივერპულის" შემადგენლობაში ნათამაშევი ალან ჰანსენი, რომელიც ამჟამად BBC-ს მიმომხილველი გახლავთ — ისინი შეჯიბრების ჯგუფურ ეტაპზე გასვლას შეეცდებიან.

პირველი „რეინჯერსი" თამაშობს. გლაზგოელებმა პირველ რაუნდში „ზეტას" შთამბეჭდავად მოუგეს, მაგრამ ახლა იგივეს გაკეთება თვით „ცრვენა ზვეზდასთან" მოუწევთ.

კაცმა რომ თქვას, უოლტერ სმიტის გუნდისთვის ამ სეზონში მთავარი შოტლანდიის ჩემპიონობაა, მისი ქომაგები, უპირველეს ყოვლისა, „სელტიკისთვის" ტიტულის წართმევას ითხოვენ და ასეთ ვითარებაში, თუ გუნდი ჩემპიონთა ლიგასაც რაიმეს გამორჩება, ძალიან კარგი იქნება, თუ არა და, თავს ნამდვილად არავინ მოიკლავს, ოღონდ ეგაა, ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გასვლა ფინანსურად არის ძალიან მომგებიანი.

„სელტიკს" მოსკოვში „სპარტაკთან" ძნელი გასვლა აქვს, მაგრამ შოტლანდიის პირველობაზე „ფოლკირკთან" გამარჯვება, ეჭვი არ არის, ფრთებს შეასხამდა.

გასულ სეზონში სქოთთა ჩემპიონი ჩემპიონთა ლიგაში მეტისმეტად კარგად გამოვიდა, რაც ერთი მხრივ, იმას ნიშნავს, რომ გუნდს, შესაძლოა, ამ გათამაშებაშიც იგივე მოსთხოვონ, მაგრამ მეორე მხრივ, ასეთი მოთხოვნის წინაშე დაყენება „სელტიკისთვის", შესაძლოა, მეტისმეტიც იყოს.

და მაინც, გუნდმა ევროგამარჯვებების გემო იგრძნო და, შესაბამისად, გორდონ სტრაჩანი და მისი ქვეშევრდომები ყველა ღონეს იხმარენ, რათა „სელტიკ პარკზე" ამ სეზონშიც ისეთივე ზეიმი მოაწყონ.

რასაკვირველია, ის, რაც „რეინჯერსზე" ვთქვით, „სელტიკსაც" ეხება — ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოხვედრა და შემდეგ, შეჯიბრებაში, რაც შეიძლება, წინ წასვლა, ფულის მოგებასთან არის დაკავშირებული. შოტლანდიის ჩემპიონატი პრემიერლიგასავით მდიდარი არ გახლავთ და, შესაბამისად, „სელტიკმა" ამ ზაფხულზე, სატრანსფერო სეზონში იმდენი ვერ დახარჯა, რამდენსაც ინგლისური კლუბები ხარჯავენ, მაგრამ ვინ იცის, იქნებ სწორედ ლიგაში წარმატებამ მისცეს გლაზგოელებს ახალი ფეხბურთელებით გაძლიერების სახსარი.

ახლა „არსენალი", რომელმაც, წესითა და რიგით, ბარიერი უპრობლემოდ უნდა გადალახოს — ხომ ნახეთ, როგორ დაძლია არსენ ვენგერის გუნდმა „ფულემის" წინააღმდეგობა პრემიერლიგის პირველ ტურში?

და მაინც, საინტერესოა, როგორ გაართმევენ ლონდონელები თავს ევროსარბიელს პოსტ-ანრიულ ეპოქაში. იცით, იმის თქმა, რომ „არსენალი" ჩემპიონთა ლიგას მოიგებს, ნამდვილად არ მინდა, მაგრამ პრაღის „სპარტასთან" რომ დამარცხდეს, ესეც ძალიან გამაკვირვებს.

ჩემპიონთა ლიგის გასული გათამაშების ფინალისტი „ლივერპული" პრემიერლიგის პირველ ტურში ძალიან ყოჩაღად გამოჩნდა, „ასტონ ვილას" კარგად აჯობა, მაგრამ დახეთ, ახლა როგორ აქვს კალენდარი: ოთხშაბათს ლიგა ტულუზში, კვირას კი ისევ პრემიერლიგა „ჩელსისთან"...

და მაინც, ვფიქრობ, რაფა ბენიტესის ფეხბურთელები საფრანგეთში მათთვის საკმარის შედეგს მიაღწევენ.

**ბაბუნა ძიდია**



უესლი სნეიდერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვან ნისტელროი არ მოიწყენს

## რეალში ჰოლანდიურად ილაპარაკებენ

**„აიაქსმა"** დაადასტურა, რომ უესლი სნეიდერს „რეალში" უშვებს და სანაცვლოდ 27 მილიონ ევროს მიიღებს.

180 აიაქსურ მატჩში 57 გოლის გამტანი ნახევარმცველი „სამეფო კლუბთან" ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. 23 წლის სნეიდერს ჰოლანდიის ნაკრებში 35-ჯერ უთამაშია. „რეალში" მას როისტონ დრენტე დახვდება, რომელიც ცოტა ხნის წინ „ფეიენოორდიდან" წაიყვანეს. დრენტე კვირას ჩავიდა მადრიდში და ქაღალდებს ხელი მოაწერა. ესპანეთის ჩემპიონმა 20 წლის მარცხენა მცველში 14 მილიონი ევრო გადაიხადა.

„ასეთ ბუმბერაზ კლუბში გადასვლაზე უარს ვერ ვიტყოდი" — უთქვამს მადრიდის აეროპორტში ჟურნალისტებისთვის დრენტეს.

ამრიგად, „რეალში" უკვე სამი ჰოლანდიელია: რუუდ ვან-ნისტელროი, უესლი სნეიდერი და როისტონ დრენტე.

გუნდმა ამ ზაფხულს სულ ექვსი ფეხბურთელი შეიძინა: „დორტმუნდიდან" კრისტოფ მეცელდერი, „პორტუდან" პეპე, „ლივერპულიდან" ირჟი რუდეკი და „ბარსელონადან" ხავიერ სავიოლა.

ბერნდ შუსტერის ხელში „რეალმა" პირველი მატჩი წააგო. სუპერთასის შეხვედრაში „სევილიასთან" სტუმრად 0:1 დამარცხდა. საპასუხო შეხვედრა მომავალ კვირას გაიმართება და, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში იქნება ვან ნისტელროი, რომელმაც სევილიაში ვერ ითამაშა.

ესპანეთის ჩემპიონატის პირველ ტურში 25 აგვისტოს „რეალი" „ატლეტიკოს" უმასპინძლებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კაპელომ ინტერი აღიარა



**ფაბიო კაპელოს** აზრით, მილანის „ინტერს" მომავალ სეზონში სერია A-ს მოგებაც ძალუძს და ჩემპიონთა ლიგისაც.

შეგახსენებთ, რომ ამ ზაფხულს „რეალიდან" გაშვებული 61 წლის სპეციალისტი მომავალი ერთი წლის მანძილზე ტელეკომპანია RAI-ში იმუშავებს კომენტატორად.

— „ინტერი" დუბლის მოსაპოვებლად მზად არის. სერია A-ში „ნეროაძურის" მთავარი კონკურენტი „მილანი" იქნება, ხოლო ჩემპიონთა ლიგაში — „ბარსელონა". „იუვენტუსი" სკუდეტოსთვის საბრძოლველად ჯერ მზად არ არის. რაც შეეხება „რომას", „გლადიატორებმა" ერთ-ერთი საუკეთესო ტრანსფერი გაჩარხეს, ლუდოვიკ ჟიულის შეძენას ვგულისხმობ" — განაცხადა გამოცდილმა ტაქტიკოსმა.

კაპელოს თქმით, იგი არც ერთ კლუბში მუშაობას არ აპირებს, ანუ რომელიმე ნაკრების ჩაბარება სურს, ალბათ, უფრო „სკუადრა აძურას". არადა, დაახლოებით ერთი წლის წინ ამბობდა, ნაკრებში მუშაობა ჯერ არ მსურს, საკლუბო ფეხბურთში ყოველდღიურად საქმეში ხარ ჩართული და მეც ეს მხიბლავსო.

„არ მინდა, ისევ რომელიმე კლუბის მწვრთნელი გავხდე. რაღაც განსაკუთრებული უნდა მოხდეს, რომ აზრი შევიცვალო" — დასძინა კაპელომ.

**ძოძი ძანძელაძე**

# რაც მალე, მით უკეთესი

**„ტორინოს"** პრეზიდენტ ურბინო კაიროს ალესანდრო როზინას შენარჩუნება უნდა, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

სეზონისწინა მატჩებში ტურინელებმა ექვსი მოიგეს და მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ.

„ალესანდროს აგენტისგან შევიტყვე, რომ ბიჭს „ტორინოში" დარჩენა სურს და თუ ასეა, რაღაც ვუცდით?! რაც მალე გავახანგრძლივებთ კონტრაქტს, მით უკეთესი ყველასთვის" — თქვა კაირომ.

იმის გამო, რომ დავიდე დი მიკელე ტოტალიზატორში თამაშისთვის სამი თვით დისკვალიფიცირებულია, პრეზიდენტი ფორვარდის შეძენასაც აპირებს და „რეჯინადან" ნიკოლა ამორუზოს გადაბირებაზე ფიქრობს.

„ძალიან კარგი ფეხბურთელია და ეს წინა სეზონშიც დაამტკიცა, მაგრამ ჩემი გუნდის მწვრთნელთან ჯერ არ მისაუბრია. არ ვიცი, ის რას ფიქრობს. შევეცდებით, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე თავდამსხმელი დავიმატოთ".

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფორმულა ქუინზ პარკში



ანტონიო ჯირაუდო

**„იუვენტუსის"** ყოფილ დირექტორ ანტონიო ჯირაუდოს და „ფორმულა 1-ის" „რენოს" გუნდის პატრონს, მილიონერ ფაბიო ბრიატორეს „ქუინზ პარკ რეინჯერსის" შეძენა უნდათ.

ბრიატორეს სურვილის თაობაზე იტალიურ მედიაში ადრეც ეწერა, ახლა კი მის გვარს ჯირაუდოც მიუწერეს.

ამბობენ, რომ „იუვეს" ნადირექტორალი „რენოს" პატრონს ჩაუზიარდება ამ გარიგებაში.

ანტონიო ჯირაუდო, ლუჩანო მოჯი და რობერტო ბეტეგა „იუვენტუსიდან" შარშან ზაფხულს კალჩოპოლის სკანდალის მერე წავიდნენ. სამეულიდან პირველი ლონდონში გადაბარგდა და უძრავი ქონების ბიზნესშია. სწორედ მისი დახმარებით აპირებს ფლავიო ბრიატორე ქპრ-ის ყიდვას.

ლონდონური კლუბის პრეზიდენტი ჯანი პალადინი არ ადასტურებს ბრიატორესთან მოლაპარაკებას, მაგრამ ცნობილია, რომ ქპრ-ს 21 მილიონი გირვანქა ვალი აქვს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჯიმი, ჯიმი და რონალდო



**ინდური** კინო ხომ ვიცით და, ერთი ინდური მულტფილმი ამჟამად ყველაზე პოპულარული ყოფილა „ჯიმის" ქვეყანაში.

ფილმი გადაღებულია ბრაზილიელ ვარსკვლავ რონალდოზე, ფეხბურთელის კარიერის იმ პერიოდზე, როცა ბრწყინავდა.

სურათი საათნახევრიანია.



# უსაშველო ბრაზილია

## თავის მართლება და მსაჯი ალყაში

**ბრაზილიის** ჩემპიონატის სამ მატჩში მსაჯები ცემას ძლივს გადაურჩნენ.

„ფიგეირენსე" — „ბოტაფოგოს" შეხვედრაში (1:1) მასპინძლებმა რომ გაათანაბრეს, სტუმარი ფეხბურთელები არბიტრისკენ მუშტით წავიდნენ, მაგრამ პოლიციამ იყოჩაღა და სასტვენიანი ალყაში მოაქცია.

ბოტაფოგოელთა აზრით, გოლი მათ კარში თამაშგარე მდგომარეობიდან გავიდა. სტუმართა გუნდის მწვრთნელი კუკაც შევარდა მოედანზე თავისი ფეხბურთელების დასაწყნარებლად, ნამატჩევს კი თქვა: „სულ ცოტა, ოთხი მოთამაშე იყო თამაშგარეთ, როცა „ფიგეირენსემ" გოლი გაგვიტანა".

„კორინთიანსი" — „გრემიოს" მატჩში სტუმრების თავკაცი მანო მენესეში გაცეცხლდა და მსაჯისკენ იწევდა, რის გამოც ამ თვეში უკვე მეორედ გააძევეს.

„ატლეტიკო მინეიროს" მწვრთნელი ემერსონ ლეაო კი იმან გააბრაზა, რომ მის გუნდს „პალმეირასთან" (1:2) შინ გოლი არ ჩაუთვალეს და „მინეირო" მე-12 ადგილზე დაეშვა: „მსაჯების შეცდომების გამო ცხრილში ქვევით მივექანებით" — განაცხადა ლეაომ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩემი ყური თქვენ

**ლუკა ტონიმ** ბაიერნული კარიერა ჩინებულად დაიწყო. ბუნდესლიგის პირველ ტურში „ჰანზასთან" მატჩში მან მიროსლავ კლოზეს პასით გოლი გაიტანა და, როგორც აღნიშვნისას სჩვევია, ყურთან ხელიც მიიტანა.

არადა, ამ მატჩში 30 წლის იტალიელის თამაში საეჭვო გახლდათ, რადგან ტრავმა ახლახან მოიშუშა.

საერთოდ, „ფიორენტინას" ექსფორვარდი ბოლო თვეებში ტრავმებმა გააწვალა.

ლუკა ტონი: „ნამდვილად ძალიან მონატრებული მქონდა ხელის ყურთან მიტანა გატანილი გოლის შემდეგ. იმედია, ამას მიმდინარე სეზონში კიდევ ბევრჯერ გავაკეთებ. არ მეგონა, „ჰანზასთან" თუ ვითამაშებდი, საბოლოოდ კი, ისე გამოვიდა, რომ მინდორზე 90 წუთი გავატარე. მოგეხსენებათ, ერთი თვე არ მითამაშია და ვარჯიში მხოლოდ გასულ ხუთშაბათს განვაახლე. მწვრთნელსაც არ ჰქონდა გადაწყვეტილება მიღებული. საბედნიეროდ, ყველაფერმა ბრწყინვალედ ჩაიარა — გოლი, მოგება, საუცხოო ატმოსფერო... ჩინებული დღე იყო."

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა რობერტო დონადონიმ თქვა, სერია A-დან წასულ მოთამაშეებს, კერძოდ, როლანდო ბიანკის, ლუკა ტონისა და ჯუზეპე როსის არ დავივიწყებ და მათ თამაშებს დავესწრები ან ტელევიზორში ვუყურებო. „ბაიერნი" — „ჰანზა" დონადონის ტელევიზორში უნახავს.

„მწვრთნელთან არანაირი პრობლემა არ მაქვს. იგი მირეკავს ხოლმე, ჩემს ამბებს იგებს და მაკვირდება. ასე რომ, ამ საკითხზე არ ვღელავ. მთავარია, კარგად ვითამაშო და ნაკრებშიც მოვხვდები" — თქვა ლუკა ტონიმ.

2006 წლის „ოქროს ბუცის" მფლობელმა „გაძეტა დელო სპორტთან" საუბარი მომავალზე და „ფიორენტინაზე" ლაპარაკით დაასრულა.

„რაც მეტს ვთამაშობ და ვვარჯიშობ, უფრო ჯანმრთელი ვხდები — ამბობს ტონი — როგორც ჩანს, ტრავმები მოვიშორე. თუმცა ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია, უნდა მოვუმატო. კარგად ვუგებ კლოზეს. არც ერთი ჩვენგანი მეტოქის საჯარიმოში ეგოისტურად არ იქცევა და კომბინირება მშვენივრად გამოგვდის. რაც შეიძლება მეტის მოსაგებად ვარ „ბაიერნში" მოსული. ასევე მინდა, მადლობა გადავუხადო ფიორენტინელებს ტკბილი სიტყვებისთვის და წარმატებები ვუსურვო მათ".

**ბოკი ბანძელაძე**




## ნაპოლი ორს ეპოტინება

„ნაპოლი" „ინტერიდან" ორი ფეხბურთელის, ალვარო რეკობასი და სეზარ აპარესიდოს გადაბირებას აპირებს.

ურუგვაელმა ნახევარმცველმა 10 წელი გაატარა „ნერაძურებში", მაგრამ დაუსრულებელი ტრავმიანობის გამო ვერ დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი.

„ინტერი" ახალ-ახალ ფეხბურთელებს ყიდულობს და რეკობას ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შანსი აღარ აქვს. მისი კონტრაქტი 2008 წლის ზაფხულში იწურება და კლუბი ალბათ არ გაუჯანჯლებს „ნაპოლიში" გადასვლას.

ნეაპოლელები სეზარ აპრესიდოსაც ეპოტინებიან, რომელმაც სეზონისწინა მატჩებში კარგად ითამაშა. ბრაზილიელი ნახევარმცველი „ინტერმა" 2006-ის იანვარში იყიდა „ლაციოდან" და ჯერ „კორინთიანსში", მერე კი „ლივორნოში" გაანათხოვრა.

## ძმამ ძმა აღიარა

**რონალდინიოს** ძმამ და აგენტმა რობერტო ასისმა „გაძეტა დელო სპორტს" განუცხადა, რომ „მილანმა" „ბარსელონას" 60 მილიონი ევრო შესთავაზა რონალდინიოში და უარი მიიღო. მისი კონტრაქტი კატალონიურ კლუბთან 2010-ში იწურება.

„გულწრფელად გეტყვით, ჩემი ძმის კონტრაქტი უკვე ოთხჯერ გააუმჯობესეს მას შემდეგ, რაც იგი „ბარსელონაში" მივიდა. მისი დატოვება კლუბს კარიერის ბოლომდე სურს" — თქვა რობერტო ასისმა.

## მილანელები თხოვდებიან

**კრისტიან აბიატის** შემდეგ „მილანმა" მარკო სტორარიც გაანათხოვრა. მეკარე ორი სეზონით „ლევანტეს" დაუთმო.

შეგახსენებთ: აბიატიც პრიმერადივიზიონში, „ატლეტიკოში" ითამაშებს. სტორარიმ კარიერი 1995-ში „პერუჯაში" დაიწყო და „მილანამდე" „ნაპოლიში" და „ანკონაში" იყო.

## უნივერსალური პორტსმუთიდან

„**ბოლტონმა**" „პორტსმუთიდან" მცველი ენდი ობრაიენი იყიდა. 29 წლის ფეხბურთელმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, კლუბებმა კი გარიგების ფასი არ გაამხილეს.

ბოლტონელთა მწვრთნელმა სემი ლიმ განაცხადა: „ობრაიენი უნივერსალურია და დაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე თამაში შეუძლია."

## ფერარი ერიკსონისთვის

„**მანჩესტერ სიტის**" „რომადან" მატეო ფერარის შეძენა უნდა. სიტელებმა იტალიიდან უკვე წაიყვანეს ორი — ვალერი ბოჟინოვი „ფიორენტინადან" და რონალდო ბიანკი „რეჯინადან".

ფერარის სანაცვლოდ, რომელსაც ადრე „ევერტონში" უთამაშია, მანჩესტერული კლუბი 4 მილიონ გირვანქას იხდის.

## შიმუნეკი გამგელდა

**პრაღის** „სპარტას" მცველი იან შიმუნეკი „ვოლფსბურგში" გადავიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შიმუნეკი 20-წლამდელთა ნაკრებს კაპიტნობდა და კანადაში მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც ივლისში გაიმართა და არგენტინამ ჩეხეთს ფინალში 2:1 მოუგო.

## სტუმრობა თოფიანებთან

„**დეილი მეილის**" ცნობით, „არსენალი" 8 მილიონი გირვანქის გადამხდელია ლუკა მოდრიჩში, რომელიც ზაგრების „დინამოს" ლიდერია.

„მეთოფეებმა" უკვე იყიდეს „დინამოდან" ფორვარდი ედუარდო და სილვა.

ხორვატიული კლუბის შეფები ლონდონში იყვნენ და „არსენალის" გარდა, სხვა გუნდებსაც ესაუბრნენ 21 წლის მოდრიჩის ტრანსფერზე.

## 1712

„**გაზპრომის**" გერმანულმა კლუბმა „შალკემ" სანკტ პეტერბურგში მაღაზია გახსნა. 2006 წლის ოქტომბერში „ხუმარებმა" და „გაზპრომმა" ხუთწლიან გარიგებას მოაწერეს ხელი. რუსულმა კომპანიამ, რომელიც „ზენიტის" სპონსორიცაა, ბუნდესლიგის გუნდს ხუთი წლის განმავლობაში 125 მილიონი ევრო უნდა გადაუხადოს.

3 500 ცალი ტრუს-მაისური თუ საკლუბო ატრიბუტი გააგზავნეს ახალგახსნილ მაღაზიაში.

გელზენკირხენიდან სანკტ პეტერბურგამდე 1712 კილომეტრია.

## ბარბოსა სახლში მიდის

**ლისაბონის** „ბენფიკას" ბრაზილიელი მცველი ანდერსონ კლუბერი სამშობლოში ბრუნდება და „კრუზეიროში" ითამაშებს. ამის შესახებ მისმა აგენტმა მარკონე ბარბოსამ განაცხადა. „კრუზეირო" მილიონ 200 ათას ევროს გადაიხდის და კონტრაქტს ნახევრად გამოისყიდის. ანდერსონმა „ბენფიკაში" ორი სეზონი გაატარა.

## კრისის მუხლი

„**ლიონს**" ბრაზილიელი კაპიტანი კრისი ექვსი თვით დააკლდება, რადგან მარჯვენა მუხლის მყესები გაუწყდა. უახლოეს დღეებში მას ოპერაციას გაუკეთებენ. კრისმა ტრავმა შაბათს „ტულუზთან" 0:1 წაგებულ მატჩში მიიღო. „ლიონს" გრეგორი კუპეც დაშავებული ჰყავს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 14 აგვისტო | | | | | | |
| 23:00 | 2 | ტოტენჰემი-ევერტონი | 1.70 | 3.20 | 4.15 | 1.11 | 1.20 | 1.80 |
| | | 15 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 1 | ბირმინგემი-სანდერლენდი | 2.25 | 3.10 | 2.60 | 1.30 | 1.20 | 1.41 |
| 22:45 | 4 | ფულემი-ბოლტონი | 2.10 | 3.10 | 2.85 | 1.25 | 1.20 | 1.48 |
| 22:45 | 5 | სიტი-დერბი | 1.50 | 3.40 | 5.15 | 1.04 | 1.16 | 2.04 |
| 22:45 | 6 | პორტსმუთი-მანჩესტერი | 5.20 | 3.45 | 1.55 | 2.07 | 1.19 | 1.06 |
| 23:00 | 7 | რედინგი-ჩელსი | 5.90 | 3.50 | 1.45 | 2.19 | 1.16 | 1.02 |
| 23:00 | 8 | უიგანი-მიდლსბრო | 2.10 | 3.10 | 2.70 | 1.25 | 1.18 | 1.44 |
| | | ინგლისი კონფერენსი | | | | | | |
| | | 14 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 55 | ალდერშოტი-ტორკი | 2.30 | 3.10 | 2.55 | 1.32 | 1.20 | 1.39 |
| 22:45 | 56 | ბარტონი-იორკი | 2.10 | 3.15 | 2.80 | 1.25 | 1.20 | 1.48 |
| 22:45 | 57 | კემბრიჯი-ოქსფორდი | 2.55 | 3.00 | 2.30 | 1.37 | 1.20 | 1.30 |
| 22:45 | 58 | ექსეტერი-ქროული | 1.55 | 3.30 | 4.40 | 1.05 | 1.14 | 1.88 |
| 22:45 | 59 | ფორესტ გრინი-ვეიმუთი | 2.20 | 3.15 | 2.60 | 1.29 | 1.19 | 1.42 |
| 22:45 | 60 | გრეისი-უოკინგი | 1.95 | 3.15 | 3.10 | 1.20 | 1.19 | 1.56 |
| 22:45 | 61 | ჰალიფაქსი-ალტრინჰემი | 1.75 | 3.20 | 3.65 | 1.13 | 1.18 | 1.70 |
| 22:45 | 62 | ნორთვიჩი-დროილსდენი | 1.95 | 3.15 | 3.00 | 1.20 | 1.18 | 1.53 |
| 22:45 | 63 | რაშდენი -ფარსლი | 1.55 | 3.30 | 4.30 | 1.05 | 1.13 | 1.86 |
| 22:45 | 64 | სალისბერი-ებსფლითი | 2.15 | 3.10 | 2.70 | 1.26 | 1.19 | 1.44 |
| 22:45 | 65 | სტრეინჯერსი-კიდერმინსტერი | 2.35 | 3.10 | 2.45 | 1.33 | 1.19 | 1.36 |
| 22:45 | 66 | სტივენეიჯი-ჰისტონი | 1.45 | 3.50 | 5.10 | 1.02 | 1.12 | 2.07 |
| | | პოლონეთი | | | | | | |
| | | 14 აგვისტო | | | | | | |
| 22:00 | 267 | ვისლა-გურნიკი | 1.15 | 5.10 | 12.80 | 1.00 | 1.05 | 3.64 |
| | | ჩილე | | | | | | |
| | | 15 აგვისტო | | | | | | |
| 23:00 | 407 | კოლო კოლო-უ.კონსეპსიონი | 1.25 | 4.25 | 7.85 | 1.00 | 1.07 | 2.75 |
| | | ჩემპიონთა ლიგა | | | | | | |
| | | 14 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 526 | ლაციო-დინამო ბუქ | 1.55 | 3.45 | 5.00 | 1.06 | 1.18 | 2.04 |
| 22:45 | 527 | რეინჯერსი-ცრვენა ზვეზდა | 1.65 | 3.30 | 4.20 | 1.10 | 1.18 | 1.84 |
| 23:15 | 528 | ბენფიკა-კოპენჰაგენი | 1.30 | 4.10 | 7.40 | 1.00 | 1.10 | 2.63 |
| 23:45 | 529 | ვალენსია-ელფსბორგი | 1.15 | 5.10 | 10.50 | 1.00 | 1.03 | 3.43 |
| | | 15 აგვისტო | | | | | | |
| 18:30 | 530 | ტულუზი-ლივერპული | 3.30 | 3.10 | 1.80 | 1.59 | 1.16 | 1.13 |
| 20:00 | 531 | ტამპერე-რუსენბორგი | 2.75 | 3.00 | 2.10 | 1,43 | 1.19 | 1.23 |
| 20:00 | 532 | სპარტაკი მ-სელტიკი | 1.80 | 3.10 | 3.50 | 1.13 | 1.18 | 1.64 |
| 21:00 | 533 | ბატე-სტიაუა | 3.50 | 3.20 | 1.80 | 1.67 | 1.18 | 1.15 |
| 22:00 | 534 | სარაევო-დინამო კ | 3.50 | 3.15 | 1.85 | 1.65 | 1.21 | 1.16 |
| 22:00 | 535 | ფენერბაჰჩე-ანდერლეხტი | 1.55 | 3.20 | 4.55 | 1.04 | 1.15 | 1.87 |
| 22:15 | 536 | ციურიხი-ბეშიქთაში | 2.10 | 3.00 | 2.70 | 1.23 | 1.18 | 1.42 |
| 22:30 | 537 | ვერდერი-დინამო ზ | 1.30 | 4.10 | 7.40 | 1.00 | 1.10 | 2.63 |
| 22:30 | 538 | ზალცბურგი-შახტარი | 2.10 | 3.00 | 2.80 | 1.23 | 1.19 | 1.44 |
| 22:30 | 539 | აიაქსი-სლავია | 1.30 | 3.80 | 6.50 | 1.00 | 1.08 | 2.39 |
| 22:45 | 540 | სევილია-აეკ | 1.25 | 4.15 | 9.40 | 1.00 | 1.10 | 2.87 |
| 22:45 | 541 | სპარტაკი პ-არსენალი | 3.90 | 3.15 | 1.65 | 1.74 | 1.15 | 1.08 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 14 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 470 | აკრინგტონი-ლესტერი | 4.30 | 3.35 | 1.55 | 1.88 | 1.13 | 1.05 |
| 22:45 | 471 | ბარნსლი-დარლინგტონი | 1.60 | 3.30 | 4.30 | 1.07 | 1.16 | 1.86 |
| 22:45 | 472 | ბლექპული-ჰადერსფილდი | 1.60 | 3.30 | 4.20 | 1.07 | 1.15 | 1.84 |
| 22:45 | 473 | ბრენტფორდი-ბრისტოლი | 2.70 | 3.20 | 1.80 | 1.46 | 1.08 | 1.15 |
| 22:45 | 474 | როვერსი-კრისტალ პალასი | 2.90 | 3.20 | 1.85 | 1.52 | 1.12 | 1.17 |
| 22:45 | 475 | ბერი-კარლაილი | 2.80 | 3.20 | 2.00 | 1.49 | 1.16 | 1.23 |
| 22:45 | 476 | კარდიფი-ბრაიტონი | 1.40 | 3.40 | 5.90 | 1.00 | 1.13 | 2.15 |
| 22:45 | 477 | ჩესტერი-ნოტინგემი | 3.30 | 3.20 | 1.85 | 1.62 | 1.18 | 1.17 |
| 22:45 | 478 | ქოვენთრი-ნოტსი | 1.30 | 4.00 | 6.50 | 1.00 | 1.08 | 2.47 |
| 22:45 | 480 | დაგ ენდ რედი-ლუტონი | 3.00 | 3.10 | 1.90 | 1.52 | 1.16 | 1.17 |
| 22:45 | 481 | დონკასტერი-ლინკოლნი | 1.55 | 3.40 | 4.70 | 1.06 | 1.16 | 1.97 |
| 22:45 | 482 | გრიმსბი-ბარნლი | 3.40 | 3.30 | 1.80 | 1.67 | 1.17 | 1.16 |
| 22:45 | 483 | ჰერეფორდი-იოვილი | 2.80 | 3.15 | 2.00 | 1.48 | 1.16 | 1.22 |
| 22:45 | 484 | მაკლსფილდი-ლიდსი | 3.70 | 3.30 | 1.70 | 1.74 | 1.16 | 1.12 |
| 22:45 | 485 | დონსი-იფსვიჩი | 3.30 | 3.20 | 1.85 | 1.62 | 1.18 | 1.17 |
| 22:45 | 486 | ნორთჰემპტონი-მილუოლი | 2.40 | 3.20 | 2.40 | 1.37 | 1.20 | 1.37 |
| 22:45 | 487 | ნორვიჩი-ბარნეტი | 1.25 | 4.00 | 6.90 | 1.00 | 1.05 | 2.53 |
| 22:45 | 488 | ოლდემი-მენსფილდი | 1.45 | 3.50 | 5.40 | 1.02 | 1.14 | 2.12 |
| 22:45 | 490 | პლიმუთი-უიკომბი | 1.40 | 3.65 | 3.70 | 1.01 | 1.01 | 1.83 |
| 22:45 | 491 | პორტ ვეილი-რექსემი | 1.45 | 3.40 | 5.50 | 1.01 | 1.14 | 2.10 |
| 22:45 | 492 | პრესტონი-მორიკომბი | 1.25 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.06 | 2.54 |
| 22:45 | 493 | ქპრ-ლეიტონი | 1.50 | 3.30 | 4.80 | 1.03 | 1.14 | 1.95 |
| 22:45 | 494 | როჩდეილი-სტოკი | 3.70 | 3.30 | 1.70 | 1.74 | 1.16 | 1.12 |
| 22:45 | 495 | სკანთორპი-ჰარტლპული | 1.60 | 3.40 | 4.45 | 1.08 | 1.17 | 1.92 |
| 22:45 | 496 | შეფილდი-ჩესტერფილდი | 1.30 | 3.90 | 6.70 | 1.00 | 1.08 | 2.46 |
| 22:45 | 497 | შრიუსბერი-კოლჩესტერი | 3.00 | 3.15 | 1.90 | 1.53 | 1.16 | 1.18 |
| 22:45 | 498 | საუთენდი-ჩელტენემი | 1.60 | 3.40 | 4.00 | 1.08 | 1.14 | 1.83 |
| 22:45 | 499 | სტოკპორტი-ტრანმერი | 2.70 | 3.20 | 2.15 | 1.46 | 1.19 | 1.28 |
| 22:45 | 500 | სუონსი-უოლსოლი | 1.65 | 3.30 | 4.10 | 1.10 | 1.17 | 1.82 |
| 22:45 | 501 | სუინდონი-ჩარლტონი | 3.70 | 3.30 | 1.70 | 1.74 | 1.16 | 1.12 |
| 22:45 | 502 | უოტფორდი-ჯილინგემი | 1.30 | 3.70 | 6.40 | 1.00 | 1.08 | 2.34 |
| 22:45 | 503 | ვესტ ბრომვიჩი-ბორნმუთი | 1.40 | 3.90 | 5.50 | 1.03 | 1.11 | 2.28 |
| | | 15 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 479 | ქრიუ-ჰალი | 2.40 | 3.15 | 2.30 | 1.36 | 1.17 | 1.32 |
| 22:45 | 504 | ვულვერჰემპტონი-ბრედფორდი | 1.30 | 3.90 | 6.45 | 1.00 | 1.08 | 2.43 |
| | | 16 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 505 | როტერჰემი-უენსდი | 3.65 | 3.20 | 1.75 | 1.70 | 1.18 | 1.13 |
| | | შოტლანდია. თასი | | | | | | |
| | | 14 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 506 | ალბიონი-ბერიკი | 2.90 | 3.50 | 1.90 | 1.58 | 1.14 | 1.23 |
| 22:45 | 508 | კლაიდი-ქუინი | 2.00 | 3.40 | 2.60 | 1.25 | 1.13 | 1.47 |
| 22:30 | 509 | დანდი-როსი | 1.45 | 3.65 | 4.50 | 1.03 | 1.09 | 2.01 |
| 22:30 | 510 | ისტ სტირლინგი-დამბარტონი | 2.80 | 3.35 | 1.90 | 1.52 | 1.13 | 1.21 |
| 23:00 | 511 | ელგინი-ბრეჩინი | 4.50 | 3.55 | 1.45 | 1.98 | 1.09 | 1.02 |
| 22:30 | 512 | ფორფარი-ისტ ფაიფი | 2.75 | 3.50 | 1.70 | 1.53 | 1.05 | 1.14 |
| 22:45 | 513 | ჰამილტონი-ეარი | 1.5υ | 3.65 | 5.00 | 1.06 | 1.15 | 2.10 |
| 22:45 | 514 | მონტროუზი-სტირლინგი | 3.50 | 3.50 | 1.70 | 1.75 | 1.14 | 1.14 |
| 22:30 | 515 | მორტონი-ლივინგსტონი | 1.90 | 3.40 | 2.80 | 1.21 | 1.13 | 1.53 |
| 22:30 | 516 | პიტერჰედი-კოუდენბითი | 2.30 | 3.40 | 2.50 | 1.37 | 1.19 | 1.44 |
| 22:45 | 517 | ქუინზ პარკი-სტრანრარი | 1.70 | 3.35 | 3.20 | 1.12 | 1.11 | 1.63 |
| 22:45 | 518 | რეითი-სტ.ჯონსტონი | 2.75 | 3.40 | 2.10 | 1.52 | 1.19 | 1.29 |
| 22:45 | 519 | სტენჰაუზმური-ერდრი | 3.00 | 3.40 | 1.65 | 1.59 | 1.06 | 1.11 |
| | | 15 აგვისტო | | | | | | |
| 22:45 | 507 | არბროთი-ალოა | 2.25 | 3.40 | 2.35 | 1.35 | 1.14 | 1.38 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# ძირითადმა აჟენმა საქართველო დაასერიოზულა



ბადრი კეთილაძის ფოტო

ვასილ აბაშიძე

**საფრანგეთში** წლევანდელი მსოფლიოს თასის წინა შეკრებაზე მყოფი საქართველოს ნაკრები დღეს მორიგ სპარინგ-მატჩს გამართავს ფრანგულ „აჟენთან".

„აჟენი" წლეულს გავარდა პირველი ელიტარული ლიგიდან მეორე ელიტარულ დივიზიონში. ამ კლუბს ერთი თვეა, რაც ჩვენი „ლელოების" ფრანგი კონსულტანტი ანრი ბრონკანი წვრთნის. აქამდე ბრონკანი ელიტ-2-ის „ოშს" წვრთნიდა, რომელშიც ჩვენების კაპიტანი ილია ზედგინიძე თამაშობს. ისე მოხდა, რომ ბრონკანმა გასული სეზონის დასრულებამდე მოაწერა „აჟენთან" კონტრაქტს ხელი. „ოში" უპირველეს ელიტაში აიყვანა, „აჟენმა" კი სეზონის ბოლოს თამაში თამაშზე წააგო და კლუბის ისტორიაში პირველად გადავიდა ქვედა დივიზიონში. შვიდი წლის წინ კი „აჟენთან" ერთად საქართველოს ნაკრების მორკინალი მევლუდ მთიულიშვილი საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონი გახდა.

ოთხი დღის წინ ჩვენი „ლელოები" უკვე ეთამაშნენ „აჟენის" ახალგაზრდულ გუნდს, დღეს კი ძირითად რაზმს ერაგბებიან. ახალგაზრდა აჟენელებთან ქართველებმა 6:17 წააგეს, თუმც მატჩი საწვრთნელი იყო და შედეგს მაინცდამაინც დიდი ყურადღება არ ექცეოდა.

გუშინ საფრანგეთში დავუკავშირდით „ლელოების" მენეჯერს ვასილ აბაშიძეს, რომელსაც შეკრებაზე და დღევანდელ მატჩზე ვკითხეთ.

— ყველაფერი ჩვეულებრივი რიტმით მიმდინარეობს. იცით, აქაური ელიტარული კლუბ „აჟენის" ბაზაზე ვართ შეკრებილები. ძალიან კარგი პირობები გვაქვს ნაყოფიერი ვარჯიშებისთვის. სხვათა შორის, მსოფლიოს თასის მსვლელობისას რუმინეთის ნაკრები აქ იცხოვრებს. რაც მთავარია, აქვეა ნაკრების კონსულტანტი ანრი ბრონკანი, რომელიც „აჟენის" მწვრთნელიცაა.

**— „აჟენის" ახალგაზრდულ გუნდთან წაგების მიზეზი რა იყო?**

— ეს საწვრთნელი მატჩი იყო და მწვრთნელებმა რამდენიმე მონაზის დამუშავების გარდა, შემადგენლ[illegible] რთეს. ვერ ვიტყვი, რომ „აჟენის" ახალგაზრდულმა გუნდმა რაღაც განსაკუთრებული ითამაშა და საგრძნობლად გვაჯობა. უბრალოდ, ჩვენთვის შედეგი, ამ შემთხვევაში, მეორეხარისხოვანი იყო.

**— „აჟენის" ძირითად შემადგენლობასთანაც ასე იქნება?**

— არა, აქ უფრო სერიოზულად მივუდგებით საქმეს. თანაც საფრანგეთის პროფესიული ლიგის მოთხოვნით, მატჩი წესების სრული დაცვით ჩატარდება, ვგულისხმობ, რომ სამატჩო განაცხადში ოცდაორი კაცი იქნება, ზედმეტი შეცვლის უფლებას ვერ გამოვიყენებთ.

**— ტრავმა აწუხებს ვინმეს?**

— რამდენიმე მორაგბეს აქვს მიკროტრავმები, მაგრამ სერიოზული და საგანგაშო არაფერია.

**ბაჩო სვანიძე**



# ნენე იყოს, ფული იქნება



**ჯერაც** ახალგაზრდა, მაგრამ ნბა-ში უკვე ვარსკვლავად ქცეული ნენე ილარიო, უბრალოდ კი ნენე, ბრაზილიის ნაკრებში ბრუნდება. „დენვერ ნაგიტსის" ცენტრს, როგორც თვითონ ამბობდა, ბრაზილიის კალათბურთის ფედერაციასთან ჰქონდა კონფლიქტი და ოთხი წელი არ უთამაშია ნაკრებში. ის თანამემამულეებს წლეულს რიო დე ჟანეიროში გამართულ პან-ამერიკულ თამაშებზეც არ მიხმარებია, თუმცა მასპინძლებმა მაინც მოიგეს. მაგრამ ერთია პან-ამერიკული თამაშები და სულ სხვაა ოლიმპიადა, ან თუნდაც მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრაზილიელებს ნიჭიერი თაობა ჰყავთ და თუ რამე სერიოზულის მიღწევა სურთ, მათმა ჩინოვნიკებმა მართლაც უძლიერეს შემადგენლობას უნდა მოუყარონ თავი.

სავარაუდოდ, ნენე შეუერთდება თავისი ქვეყნის ნაკრებს, რომელიც ახლა შინ ვარჯიშობს და ემზადება 22 აგვისტოს და 2 სექტემბერს შორის ლას ვეგასში გასამართი ტურნირისთვის. ესაა 2008 წლის პეკინის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც 2004 წლის ოლიმპიადის მოგები არგენტინის გარდა, ყველა ძლიერი გუნდი მონაწილეობს ორივე ამერიკიდან, მათ შორის, შეერთებული შტატებიც თავისი ნბა-ს ვარსკვლავებით და პეკინის საგზური მხოლოდ ლას ვეგასის ორ საუკეთესო გუნდს შეხვდება.

მაგრამ წარმოიშვა ფინანსური პრობლემა, კერძოდ: ნბა-ს გუნდები ბოლო წლებში „დაეჩვივნენ" იმ ნაკრებების ხელმძღვანელებისგან დაზღვევის მოთხოვნას, რომლებშიც უშვებენ თავიანთ მოთამაშეებს. არავის სურს „მემფისის" ბედის გაზიარება, ვისაც შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე თავისი ესპანელი ლიდერი პაუ გასოლი დაემტვრა და ამის გამო მთელი სეზონი გაეღაბნა. ფული და დაზღვევა თავისთავად ვერ აარიდებს მოთამაშეებს ტრავმას, მაგრამ ნბა-ს გუნდებს იმის იმედი მაინც აქვთ, რომ კალათბურთელი უაზრო ბრძოლაში არ „შეყოფს" ფეხს და თავს გაუფრთხილდება.

ბრაზილიის კალათბურთის ფედერაცია ამბობს, რომ ნენეს დაზღვევა დროის ამბავია და „დენვერი" სრულად მიიღებს დათქმულ თანხას, თუ ნენე ლას ვეგასში დაიმტვრევა.

სათქმელია, რომ ბრაზილიას კიდევ ერთი ნბა-ელი მოთამაშე, „კლივლენდ კავალიერზის" სათადარიგო მეფარე ანდერსონ ვარეჟაო სურს, თუმც სამხრეთამერიკელები ჯერ ნენეს საქმეზე მუშაობენ და ვინ იცის, ვარეჟაო აღარ ინდომონ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ მძაფრ შესარჩევ სიბრტყეში ნამდვილად არ აწყენდათ კიდევ ერთი კარგი მეფარე. ამ დროს ბრაზილიური კალათბურთის შეფები ამბობენ, ბოლო ორ ოლიმპიადაზე ვერ მოვხვდით და ახლა მაინც უნდა გავტეხოთ ნავსიო.

**კოტე ყორშია**

# მაიამიმ პენის კარი გაუღო



**36 წლის** მოთამაშეს, რომელსაც ორი წელია, ოფიციალურ მატჩშიც კი არ მიუღია მონაწილეობა, სუპერვარსკვლავური წარსულის მიუხედავადაც ვერ შეხვდებიან ახალ გუნდში, როგორც მშველელს და მესიას, მაგრამ ანფერნი ჰარდევეის „კარგი გამარჯობა" მაინც არ დაამადლეს „მაიამი ჰითში". გავიხსენოთ: ეს გუნდი 2006 წელს ჩემპიონი გახდა, მაგრამ 2007 წლის პლეი ოფიდან პირველივე რაუნდში „ჩიკაგოსთან" 0:4 განადგურებული გამოვარდა.

„რას ვკარგავთ? მე ვფიქრობ, რომ გუნდმაც და მოთამაშემაც შეიძლება იხეირონ ამ სვლით — ამბობს „მაიამის" ახალგაზრდა ლიდერი დუეინ ვეიდი — პენი ჰარდევეის და შაკილ ონილს წლების განმავლობაში აქვთ ერთმანეთის გვერდით ნათამაშები აბსოლუტურად ყველა დონეზე. რამდენ ოლსტარზე იყვნენ ერთად, პლეი ოფიც ფინალამდეც მივიდნენ, მე მთლად ბავშვი ვიყავი, 1996 წელს ატლანტას ოლიმპიადაც რომ მოიგეს. გასაგებია, რომ მაშინ ისინი ახალგაზრდები იყვნენ და ყველა პირობა ჰქონდათ წინსვლისთვის, მაგრამ მათ რომ ერთად თამაშის გამოცდილება შეიძინეს, ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი. პენის შეუძლია, ძალიან ბევრი შეგვმატოს და ჩვენც, რალა თქმა უნდა, საჭირონი ვართ მისთვის."

**კოტე ყორშია**

# ფრანგთა პრობლემები

**ნენეს ამბავი** გასაგებია, აი, „ფინიქს სანზის" ფრანგ ფორვარდ ბორის დიაუს კი პრობლემები შეექმნა, როცა ის თავისი კლუბის ხელმძღვანელებთან მივიდა და უთხრა, ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ გამიშვით საფრანგეთის ნაკრებშიო.

კლუბი მის გაშვებას მხოლოდ იმ პირობით დათანხმდა, რომ ფრანგული მხარე მოთამაშის ტრავმას დააზღვევდა. დაზღვევა გაჯანჯლდა და დიაუმაც საფრანგეთის ნაკრებში ორი ამხანაგური მატჩი უკვე გამოტოვა. საკითხავია, როდის შეუერთდება იგი თანამემამულეებს, რომლებიც 3-16 სექტემბერს ესპანეთში გასამართი ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან.

პრობლემები ექმნება მეორე ფრანგ ვარსკვლავ ტონი პარკერსაც. იგი „სან ანტონიომ" კი გაუშვა და პარკერიც პატიოსნად ჩავიდა საფრანგეთის ნაკრების შეკრებაზე, მაგრამ იქ ტრავმა მიიღო და სან ანტონიოში მიბრუნდა სამკურნალოდ.

„ცოტა უცნაურია საფრანგეთის ნაკრების ხილვა ამ ორი ვარსკვლავის გარეშე — ამბობს კიდევ ერთი ფრანგი იაკუბუ დიავარა, რომელიუ ასევე ნბა-ში, კერძოდ, „დენვერში" თამაშობს — დიაუ ჩვენი კაპიტანია, პარკერი კი — ლიდერი. ჩვენ ისეც კარგი გუნდი ვართ და ნაყოფიერადაც ვემზადებით, მაგრამ თუ გვინდა, რომ ახალ სიმაღლეზე ავიწიოთ, ორივე წამყვანი მოთამაშე დროულად უნდა შემოგვემატოს."

**კოტე ყორშია**



ბორის დიაუ



# სარეიტინგო ადი-ჩადი

**ლადო ჩიხლაძეს** თბილისში მოგებული მეორე ტურნირის, „მერიის თასის“ სარგო სარეიტინგო ქულებიც დაემატა და კლასიფიკაციაშიც კიდევ 51 საფეხურით დაწინაურდა. ლადო რეიტინგში უკვე 407-ეა და ეს მისი კარიერის საუკეთესო შედეგი გახლავთ.

გუშინ გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგებში ჩვენთვის სასიამოვნო სიახლე ისიცაა, რომ მართალია სიმბოლური თითო ქულით, მაგრამ კლასიფიკაციაში მოხვდნენ გიორგი ხრიკაძე და გიორგი ჭანტურია. შედეგად, ATP-ის რეიტინგში უკვე ხუთი ქართველია, ხოლო ქალები კვლავაც ცამეტნი არიან.

სამწუხარო ის გახლავთ, რომ ერთბაშად 21 პოზიცია დათმო და 160-ე ადგილზე დაქვეითდა საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ქალი მაკა ჩახნაშვილი.

**კაცები**

| | | |
|---|---|---|
| 407 (+51) | ლადო ჩიხლაძე | 77 |
| 820 (-6) | ირაკლი ლაბაძე | 15 |
| 1328 (+7) | ნოდარ ითონიშვილი | 2 |
| 1507 (-) | გიორგი ხრიკაძე | 1 |
| 1507 (-) | გიორგი ჭანტურია | 1 |

**ქალები**

| | | |
|---|---|---|
| 160 (-21) | მაკა ჩახნაშვილი | 204,5 |
| 284 (+1) | ანა ტატიშვილი | 86,25 |
| 554 (+8) | სალომე დევიძე | 26,5 |
| 602 (+8) | სოფო შაფათავა | 22,0 |
| 659 (+30) | სოფო მელიქიშვილი | 17,0 |
| 718 (+9) | მანანა შაფაქიძე | 14,0 |
| 759 (+11) | ოქსანა კალაშნიკოვა | 12,5 |
| 769 (+12) | ეკა გორგოძე | 12,0 |
| 946 (0) | სოფო ქვაცაბაია | 7,0 |
| 1030 (+3) | თინა ყაველაშვილი | 5,0 |
| 1052 (+5) | სალომე ჩაჩხუნაშვილი | 4,75 |
| 1224 (+13) | მარიამ ჟურდაძე | 2,75 |
| 1242 (+13) | თეონა ცერცვაძე | 2,5 |

# კაცები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7140 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 5605 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 3700 |
| 4. ენდი როდიკი (აშშ) | 3415 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 3195 |
| 6. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2475 |
| 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2170 |
| 8. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 1995 |
| 9. ტომი ჰაასი (გერმანია) | 1950 |
| 10. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1880 |
| 11. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 1870 |
| 12. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1855 |
| 13. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1740 |
| 14. გილერმო კანასი (არგენტინა) | 1665 |
| 15. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1565 |
| 16. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 1540 |
| 17. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1495 |
| 18. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1440 |
| 19. კარლოს მოია (ესპანეთი) | 1325 |
| 20. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1270 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 981 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 871 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 661 |
| 4. ენდი როდიკი (აშშ) | 401 |
| 5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 350 |
| 6. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 294 |
| 7. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 281 |
| 8. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 276 |
| 9-10. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 267 |
| 9-10. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 267 |
| 11. ტომი ჰაასი (გერმანია) | 265 |
| 12. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 258 |
| 13. გილერმო კანასი (არგენტინა) | 257 |
| 14. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 245 |
| 15. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 242 |
| 16. კარლოს მოია (ესპანეთი) | 240 |
| 17. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 222 |
| 18-19. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 221 |
| 18-19. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 221 |
| 20. ხუან მონაკო (არგენტინა) | 206 |

# ქალები

## განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 4457 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3845 |
| 3. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3229 |
| 4. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3117 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2978 |
| 6. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2661 |
| 7. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2424 |
| 8. სერენა უილიამსი (აშშ) | 2237 |
| 9. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 2193 |
| 10. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1975 |
| 11. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი | 1900 |
| 12. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1830 |
| 13. ვინუს უილიამსი (აშშ) | 1765 |
| 14. დინარა საფინა (რუსეთი) | 1753 |
| 15. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1750 |
| 16. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1749 |
| 17. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1694 |
| 18. შაჰარ პიერი (ისრაელი) | 1539 |
| 19. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1416 |
| 20. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1171 |

## საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 3245 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3175 |
| 3. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 2706 |
| 4. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 2340 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2161 |
| 6. სერენა უილიამსი (აშშ) | 2141 |
| 7. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2105 |
| 8. ვინუს უილიამსი (აშშ) | 1740 |
| 9. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1683 |
| 10. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1588 |
| 11. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 1482 |
| 12. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი | 1421 |
| 13. ამელი მორესმო (საფრანგეთი | 1406 |
| 14. დინარა საფინა (რუსეთი) | 1397 |
| 15. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1384 |
| 16. შაჰარ პიერი (ისრაელი) | 1278 |
| 17. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1247 |
| 18. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1231 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1135 |
| 20. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1021 |

# შაფათავა რუსეთში, შაფაქიძე გერმანიაში

**რუსეთში,** კერძოდ კი პენზის თიხნარზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქალთა 50-ათასიანი შეჯიბრი ტარდება, რომლის ძირითად ბადეში მოხვედრას ჩვენებური სოფო შაფათავა კვალიფიკაციიდან ცდილობს.



სოფო შაფათავა

საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში სოფომ 6:4 6:4 მოუგო 18 წლისა და რეიტინგში 846-ე ადგილზე მყოფ ბელარუს ტატიანა კაპშაის. ქართველი ჩოგბურთელის მეორე მეტოქე 18 წლის რუსი, კლასიფიკაციის 610-ე ნომერი ვიქტორია კამენსკაია იყო და შაფათავამ მასაც ორ სეტში აჯობა — 6:3 6:3.

მესამე და გადამწყვეტი შეხვედრა სოფოს კიდევ ერთ რუსთან, 19 წლისა და რეიტინგში 686-ე საფეხურზე მყოფ მარია ზარკოვასთან აქვს.

კიდევ ერთი ქართველი ჩოგბურთელი მანანა შაფაქიძე კი ამ კვირაში გერმანიაში, ბილეფილდის თიხნარზე მიმდინარე 10-ათასიან ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. შაფაქიძე ძირითად ბადეშია და მისი პირველი მეტოქის ვინაობა დღეს გაირკვევა.



## 24-ე სტუდენტური უნივერსიადა ბანგკოკი, ტაილანდი. 8-18 აგვისტო

# უმედლო ტაილანდი

**ტაილანდის** მთავარქალაქ ბანგკოკში მსოფლიოს ოცდამეოთხე უნივერსიადა ქართველებისთვის წარუმატებლად დაიწყო. ჩვენი ათეულიდან საქმეში ჯერ სამი ჩაერთო, მაგრამ გამოსვლა სამივემ უმედლოდ ჩაამთავრა. გულდასაწყვეტი კი ისაა, რომ მათგან ორი ძიუდოისტი იყო. ადამ ოქრუაშვილმა (+100კგ) და ლევან რაზმაძემ (100კგ) ჩემპიონ-პრიზიორობა ვერ შეძლეს.

რაზმაძეს პირველსავე წრეში ფრანგმა ტიერი ფაბრემ წუთნახევარში აჯობა, მაგრამ მერე ეს ფრანგი ნახევარფინალში გავიდა და ჩვენებურს ბრინჯაოს შანსი გაუჩნდა. რეპეშაჟში ლევანი მხოლოდ ყაზახ აკრამჯან მარაზიკოვს გასცდა. ტურნირი კი ლიტველ ეგიდიუს ზილინსკასთან მარცხით დაასრულა. საინტერესოა, რომ 100 კილოგრამში ჩემპიონი წლევანდელი თბილისური ტურნირის ვერცხლოსანი იაპონელი ტაკამასა ანაი გახდა. იანვარში მას ლევან ჟორჟოლიანმა სძლია.

მძიმეწონოსანი ადამ ოქრუაშვილისთვის უნივერსიადას დამატებითი დატვირთვაც ჰქონდა. ის საქართველოს ძირითადი ნაკრების კანდიდატია და სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად ბანგკოკური წარმატება ჰაერივით სჭირდებოდა. ხაბარელის მსოფლიოს გუნდის აბსოლუტური წონის კონკურენციაზე საუბარი ძნელია. ადამის ტაილანდური ნაჭიდავები კი ინებეთ — ქართველმა ტურნირი ძლიერი იაპონელის, შინია კატაბუჩის ორ წუთში დაიპონებით დაიწყო, თუმცა ნახევარფინალში გასასვლელ ბრძოლაში რუს დიმიტრი სტერხოვთან იპონითვე წააგო. წმინდად მოგება-წაგების ტრადიცია ოქრუაშვილს არც რეპეშაჟში დაურღვევია. ფრანგი ფრედერიკ ლეკანუ კი დაჩაგრა, მაგრამ ირანელ საედ ხოსრავინეჟადს ვერაფერი მოუხერხა და მეხუთე ადგილზე გავიდა.

მოფარიკავე ანზორ ალბრეხტმა ქვეჯგუფში ექვსი შეხვედრიდან სამი მოიგო და პლეი-ოფში მეხუთე ადგილით შევიდა. იქ კი უკრაინელ ვიტალი მედვედევთან ვერას გახდა.

დღეს უნივერსიადაზე კიდევ ორი ქართველი ძიუდოისტი, სოსო მსხალაძე (90კგ) და გრიგოლ შინჯიკაშვილი (81კგ) ჩაერთვება.

**ოთარ მაღლაკელიძე**



AFP მონრეალიდან



AFP კერსონიდან

# სერ(ბ)იოზული საქმე

## ნოვაკმა როჯერს როჯერი წაართვა

**კაცები**
მონრეალი. კანადა.
მასტერსის სერია. ჰარდი.
საპრიზო 2 450 000 $

**ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — **როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) 7:6 2:6 7:6

კანადურ მასტერსს სხვანაირად „როჯერის თასი" ჰქვია და ჩოგბურთის შვეიცარიელი გენიოსი როჯერ ფედერერი ბოლო წლებში მუდმივად ამტკიცებდა, რომ ეს თასი სწორედ რომ როჯერის, ანუ მისი იყო — ალპელმა კანადაში 2004 და 2006 წლებში იმარჯვა, 2005 წელს კი ტრავმის გამო ვერ შეძლო ტიტულის დაცვა და მას შემდეგ, რაც წლევანდელი შეჯიბრის ნახევარფინალში რადეკ შტეპანეკს მოუგო, კანადაში მისი წარმატებული სერია 16 მატჩამდე გაიზარდა.

ოღონდაც, ეს სერია მეტად ვეღარ გაიზარდა — 20 წლის სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა მონრეალში ნამდვილი გმირობა ჩაიდინა და მანამდე მის მიერ ძლეულებს, ენდი როდიკსა და რაფაელ ნადალს ფინალში ყველაზე გემრიელი ლუკმა, როჯერ ფედერერი დაამატა.

1994 წელს სტოკჰოლმის ტურნირზე ბორის ბეკერმა მიყოლებით დაჯაბნა მსოფლიოს მესამე (მიხაელ შტიხი), პირველი (პიტ სამპრასი) და მეორე (გორან ივანიშევიჩი) ჩოგნები. ჯოკოვიჩმა მონრეალში ანალოგიური გააკეთა და მიყოლებით გაუსწორდა როდიკს, ნადალსა და ფედერერს.

ფედერერსა და ნადალს ერთ ტურნირზე ეთამაშოთ და ის ტურნირი სხვას მოეგოს, ასეთი რამ ბოლოჯერ მარტში, კი ბისკაინის მასტერსზე მოხდა და ყველაზე მაგარი ის გახლავთ, რომ მაშინაც ჯოკოვიჩი იყო ტრიუმფატორი. აი, ის კი, რომ ერთ კონკრეტულ შეჯიბრზე ვინმეს მიყოლებით დაემარცხებინოს ნადალი და ფედერერი, ბოლოს როდის მოხდა, ანდა საერთოდ თუ მომხდარა, ძნელი გასახსენებელია.

ფინალური მატჩი ჯოკოვიჩის ბრეიკით დაიწყო და სერბი 3:0 დაწინაურდა, მაგრამ ფედერერმა უმალვე გააკეთა საპასუხო ბრეიკი და მე-11 გეიმში კიდევ ერთხელ აართვა მეტოქეს მოწოდება. შვეიცარიელი 6:5-ზე აწვდიდა და 40:0-ს იგებდა და აქ სასწაული მოხდა — ჯოკოვიჩმა ფედერერის მოწოდებაზე ექვსი სეტბოლი გაანეიტრალა, გეიმი აიღო, სეტი ტაიბრეიკში გადაიყვანა და იქ კი 7:2 აჯობა მრისხანე მეტოქეს.

და მაინც, ფედერერმა იოლად მოიგო მეორე სეტი, რითაც თითქოს ყველას აგრძნობინა, აქ მე ვარ კორტის ბატონ-პატრონიო, მაგრამ უტეხმა სერბმა არაფერი შეიტყო და მესამე პარტიაც პირველის მსგავსად, ბრეიკით დაიწყო. ფედერერმა ისევ გაათანაბრა ანგარიში და საქმე ისევ ტაიბრეიკზე მიდგა, რომელიც ნოვაკმა პირველზე უფრო დამაჯერებელი ანგარიშით — 7:1 მოიგო და მთლიანად მატჩიცა და „როჯერის თასიც" მას დარჩა.

„წლეულს ჩემი მიზანი უმბლდონის მოგება იყო. გაკეთებულია! ახლა მთავარია, რეიტინგში პირველობა შევინარჩუნო. რა თქმა უნდა, კარგი იყო მონრეალში რომ მომეგო, მაგრამ ყველაფერს ვერ მოიგებ. წინ ამერიკის ღია პირველობა და კიდევ რამდენიმე მასტერსია და ერთი წაგების გამო ტრაგედიის შექმნას არ ვაპირებ" — ასე იმშვიდებდა თავს დამარცხების შემდეგ მსოფლიოს პირველი ჩოგანი. ბუნებრივია, რომ ჯოკოვიჩი, რომელმაც მეხუთე ურთიერთშეხვედრაში პირველად აჯობა ფედერერს და 400 ათასი დოლარის ჩეკი ჩაიჯიბა, სრულიად განსხვავებულ ხასიათზე იყო.

„ეს ჩემს კარიერაში საუკეთესო ტურნირია. კი ბისკაინშიც მოვიგე მასტერსი, მაგრამ აქ მიყოლებით ვაჯობე მსოფლიოს მესამე, მეორე და პირველ ჩოგნებს. უფრო მეტზე ოცნებაც ძნელია და ეს ოცნება რეალობა გახდა. როჯერი ალბათ არ მიწყენს თუ ვიტყვი, რომ ყოველთვის ის ვერ მოიგებს, ხანდახან სხვასაც შეხვდება ტიტული — ბრძანა გახარებულმა სერბმა და დაამატა — რეიტინგში უკვე მესამე ვარ, მაგრამ პირველ ნომრებამდე ჯერ ადრეა. ვფიქრობ, ერთი ან ორი წლის შემდეგ საამისოდ მზად ვიქნები. ვიყო საუკეთესო, ეს ჩემი ცხოვრების მიზანია, მაგრამ არ ვჩქარობ. ვფიქრობ, რომ წინ საკმაო დრო მაქვს."

**ქალები**
კერსონი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 600 000 $

**ფინალი**

**ანა ივანოვიჩი** (3, სერბეთი) — **ნადია პეტროვა** (4, რუსეთი) 7:5 6:4

ჭეშმარიტად სერბული დღე იყო ჩრდილოეთ ამერიკაში. თუმცა, რალა დღე, მთელმა საჩოგბურთო კვირამ, სწორედ სერბული ნიშნით ჩაიარა და კალიფორნიული ტურნირის ნახევარფინალში ანა ივანოვიჩი და ელენა იანკოვიჩი ერთმანეთს რომ არ გადაყროდნენ, იქნებ სერბული ფინალიც მიგველო.

ფინალი არა და სერბული დუბლი კი მივიღეთ — მონრეალში ნოვაკ ჯოკოვიჩის ტრიუმფიდან რამდენიმე საათის შემდეგ ლოს ანჯელესის მიმდებარე პატარა ქალაქ კერსონში ანა ივანოვიჩმა ასწია საჩემპიონო თასი.

„თითქმის ყველა საუკეთესო ჩოგბურთელი მყავს დამარცხებული და ეს საკუთარი თავის რწმენას მმატებს. ქალთა ჩოგბურთში პირველი ოცეულის ნებისმიერ წევრს ნებისმიერის დამარცხება შეუძლია. როდესაც ვხვდები მეტოქეს, რომელიც რეიტინგში ჩემზე მაღლაა, ვგრძნობ, რომ შემიძლია ვაჯობო მას. ეს სიამოვნებაა და მე მსურს, დავტკბე ამ სიამოვნებით. ჩემი თავის მჯერა და მინდა, სისტემატურად ვეთამაშო პლანეტის საუკეთესო ჩოგბურთელებს, რადგანაც ვგრძნობ, რომ ნებისმიერის დამარცხება შემიძლია" — აი, ასე ტიტინებდა რუს ნადია პეტროვასთან ფინალში გამარჯვების შემდეგ ანა, ვისი ბიუჯეტით კალიფორნიული ტრიუმფის შემდეგ 88 260 დოლარით გაიზარდა.

ფული ფულად და ივანოვიჩმა WTA-ს რეიტინგში უკვე მეოთხე ადგილზე აინაცვლა. ანუ მას ზემოთ მხოლოდ სამნილა არიან — ჟუსტინ ენინი, მარია შარაპოვა და იანკოვიჩი.

**ქახა ლომჯარიძე**



# უელსური დღე დეილიმ დეის არ დაანება

**ახალი,** 2007-08 წლების სეზონის პირველი სარეიტინგო ტურნირი როგორ სენსაციურადაც დაიწყო, ასევე გაგრძელდა და დასრულდა კიდეც.

„შანხაის მასტერსზე" საუბარი რომ შევწყვიტეთ, ნახევარფინალისტთა ვინაობა იყო ცნობილი. ამ ეტაპზე მსოფლიოს ექსჩემპიონი, შოტლანდიელი გრემ დოტი უელსელ რაიან დეის შეხვდა, ხოლო მეორე უელსელი დომინიკ დეილი ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტს, ინგლისელ მარკ სელბის დაუპირისპირდა.

ფავორიტებად დოტი და სელბი ითვლებოდნენ, მაგრამ წლეულს შანხაიში ფავორიტებს არ სწყალობდნენ და ვერც დოტმა და სელბიმ იხეირეს.

ნახევარფინალური მატჩები ერთმანეთის მსგავსი სცენარით წარიმართა. ორივე უელსელმა სამი საწყისი ფრეიმი მოიგო და მოპოვებული უპირატესობა აღარც ერთმა დათმო და აღარც მეორემ. სელბიმ ჩამორჩენა 2:3-მდე კი შეამცირა, მაგრამ უფრო ახლო დეილმა მეტოქე აღარ მიუშვა და 6:3 გაიმარჯვა. დეიმ უაღრესად ნერვიულად, შეცდომებით მოთამაშე დოტს 6:2 აჯობა და კარიერაში მეორედ გავიდა სარეიტინგო ტურნირის ფინალში.

ფინალი ფინალად და დეი კვლავაც უტიტულოდ დარჩა. მან შარშანდელი „მალტის თასის" ფინალიც წააგო და ვერც შანხაიში იხეირა. არადა, თამაში 10 მოგებამდე იყო და დეი თანამემამულეს 6:2 უგებდა, მაგრამ შემდეგ მის თამაშში რალაც აირია, დეილმა კი პირიქით, პრაქტიკულად უშეცდომოდ ითამაშა, მიჯრით რვა ფრეიმი მოიგო და ფინალიც მისი გამარჯვებით — 10:6 დასრულდა.

დომინიკ დეილმა თავის თხუთმეტწლიან კარიერაში მეორე სარეიტინგო ტურნირი მოიგო, თანაც პირველი მოგებული შეჯიბრიდან ზუსტად 10 წლის თავზე.

5 000 სარეიტინგო ქულა, ლამაზი თასი და 50 ათასი ფუნტი — აი, ასეთი ნადავლით დატოვა დეილმა შანხაი და უკმაყოფილო არც დეი უნდა იყოს 4 ათასი სარეიტინგო ქულითა და 22,5 ათასი ფუნტით.



დომინიკ დეილი

ჭიდაობა

# ბრაზოვული მედალთცვენა: ერთი, ორი, სამი



ბადრი ქათიაშვილის ფოტო

ბადრი ხასაიამ ბრაშოვში პირველი ადგილი დაიკავა

**ერთკვირიანი** რუმინული შეკრება საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრებმა გასულ უქმეებზე ტურნირით დაასრულა. ბეგი დარჩიამ ქალაქ ბრაშოვში უძლიერესი შემადგენლობა ჩაიყვანა. ვარჯიში ვარჯიშად და შეჯიბრი სასექტემბრო მსოფლიოს ჩემპიონატის სამზადისში ბოლო რეპეტიცია იყო და შედეგზე მეტი მნიშვნელობა ბიჭებისთვის სატურნირო გამოცდილების გახსენებას ჰქონდა. თუმცა ორ წონაში ჯერ პირველი ნომრები არ გარკვეულიყო და კანდიდატებს სწორედ ბრაშოვში უნდა დაემტკიცებინათ დარჩიასთვის თავიანთი უპირატესობა.

ტურნირი გუშინწინ კი დამთავრდა, მაგრამ შედეგების გაგება არათუ იმ დღეს, გუშინაც შეუძლებელი იყო. ბოლოს ინფორმაცია მოჭიდავეების ოჯახებიდან შევაგროვეთ. რამდენიმეს დაურეკავს და ქართულ მედლებზე უცნობებია. თუმცა რამდენიმე ცნობა ერთმანეთს არ დაემთხვა და შესაძლოა, შეცდომაც გაიპაროს. ფედერაციაშიც ანალოგიური გზით შეუტყვიათ დარჩიას გუნდის შედეგები და ჩვენც მათ ვერსიას გთავაზობთ — წაუგებლად ტურნირი მხოლოდ ბადრი ხასაიამ (74კგ) დაასრულა. დანარჩენი ჩვენებურებიდან ჩემპიონობასთან ყველაზე ახლოს მამუკა ხოზრევანიძე (55კგ) და დავით ბედინაძე (60კგ) მისულან — ორივე ფინალში დამარცხებულა. ხოლო ლაშა ლომაძეს (66კგ), მანუჩარ კვირკველიას (74კგ) და რევაზ ჭელიძეს (120კგ) ბრინჯაოს მედლები აუღიათ.

საქართველოს ნაკრები თბილისში გამთენიას დაბრუნდებოდა და საბოლოო ზუსტ პასუხსაც თავად ბრაშოვმოვლილითაგან დღეს შევიტყობთ. 19-ში კი კლასიკოსები მინსკში გაემგზავრებიან ერთობლივ შეკრებაზე.

გაურკვევლობა შიდა კონკურენციაში მხოლოდ უმსუბუქეს და უმძიმეს წონებში რომ იყო, ეს რუმინეთში გამგზავრებამდე თავად დარჩიამ გვითხრა. მწვრთნელმა თბილისური ტურნირის ტრიუმფატორი მამუკა ხოზრევანიძე (55კგ) და კარტოზიას თასზე უმედლოდ დარჩენილი რევაზ ჭელიძე (120კგ) ერთხელაც გამოსცადა. მაგრამ ჯერ არავინ იცის, არჩევანს მათზე გააკეთებს, თუ მათ კონკურენტებზე. დანარჩენ ხუთ წონაში ლიდერები აქამდე გამოიკვეთნენ. დავით ბედინაძეს (60კგ), ლაშა ლომაძეს (66კგ), მანუჩარ კვირკველიას (74კგ), ბადრი ხასაიასა (84კგ) და რამაზ ნოზაძეს (96 კგ) მსოფლიოს ჩემპიონატზე ჭიდაობა თითქმის განაღდებული აქვთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ახალგაზრდული მსოფლიო

## ოთხი ევროპრიზიორი და ექვსი ახალი ქართველი

**პეკინის** ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი წლით ადრე ჩინურ საჭიდაო ხალიჩას ახალგაზრდა მოჭიდავეები მოსინჯავენ. 20-25 აგვისტოს 21-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. პირველად მედლებს ბერძენ-რომაელები გაითამაშებენ, შემდეგ კი თავისუფლები. ვლადიმერ ადეიშვილი და ნუგზარ სხირელი თავიანთი გუნდებით უკვე პეკინში არიან. საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გადაწყვეტილებით, ქართული გუნდები ტურნირის მასპინძელ ქალაქში შეჯიბრის დაწყებამდე ათი დღით ადრე ჩავიდნენ და დასკვნით შეკრებას იქვე გადიან.

ივნისის ბოლოს ახალგაზრდებმა ევროპის ჩემპიონატზე არცთუ შედეგიანად იჭიდავეს. მაშინ ორივე სტილის ნაკრებმა ორ-ორი ბრინჯაო მოიპოვა. კლასიკოსთაგან მედლები ლაშა გოგიტიძემ და სერგო ნინუამ აიღეს, თავისუფლებიდან — გოჩა ლომთათიძემ და ბექა ჭელიძემ. აქვე ვთქვათ, რომ ლომთათიძე ევროპირველობის ყველაზე უმცროსი მონაწილე იყო (16 წლის) და ალბათ მსოფლიოზეც ასე იქნება. ევროპრიზიორი ოთხეული მსოფლიოზეც შეუტევს მედალს.

ადეიშვილმა და სხირელმა ბელგრადული შემადგენლობებიდან სამსამი მოჭიდავე შეცვალეს. პირველმა გიორგი გოგბერაშვილი, გენადი ხელია და ბექა როყვა დაამატა სერბეთში ნაჭიდავებ ხუთეულს, მეორე კი — დავით ბერძენიშვილი, გიორგი ედიშერაშვილი და ზაალ მარტიაშვილი.

მწვრთნელ-მოჭიდავეებს ერთ კვირაში ედიშერ მაჩაიძეც შეუერთდება. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს საქმე პეკინში ექნება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## საქართველოს ნაკრები

| ბერძნულ რომაული | | თავისუფალი |
|---|---|---|
| გიორგი გოგბერაშვილი | 50კგ | დავით ბერძენიშვილი |
| ლაშა გოგიტაძე | 55კგ | გიორგი ედიშერაშვილი |
| ლაშა ლოლაშვილი | 60კგ | გიორგი მაყიშვილი |
| გურამ კვერღელიძე | 66კგ | ნიკოლოზ რეხვიაშვილი |
| სერგო ნინუა | 74კგ | გოჩა ლომთათიძე |
| გენადი ხელია | 84კგ | ბექა ჭელიძე |
| დიმიტრი ჯავახიშვილი | 96კგ | ზაალ მარტიაშვილი |
| ბექა როყვა | 120კგ | გიორგი ნიკურაძე |

მძლეოსნობა

# ინდოეთ იმედის ერთი მემილიარდედი

**ათიოდ დღეც და იაპონიის სიდიდით მეორე ქალაქ ოსაკაში შეიყრებიან ყველანი, ვისაც პროფესიად სირბილი, ხტომა და მძიმე საგნების შორს სროლა გაუხდია და ამ საქმეში რაიმესთვის მიუღწევია. ოსაკა მსოფლიოს ჩემპიონატს მასპინძლობს, რომელიც მე-11 გახლავთ და თუ ოლიმპიადას არ ჩავთვლით, მათი მოგება ყველაზე პრესტიჟულად ითვლება სამძლეოსნო საქმეში. მსოფლიოს ჩემპიონატზე გასამგზავრებელთა სიებს ეროვნული ფედერაციები ადგენენ და ბევრ ქვეყანაში უკვე ჩამოიწერა ამ ბედნიერ და მღელვარე ხალხის სია. რამდენიმე ქვეყნის შემადგენლობა ამ დღეებში გაგაცანით. ზოგიც ახლა იყოს**

### იამაიკა

ამ ინგლისურენოვან კარიბულ კუნძულზე კარგი სპრინტერები ყოველთვის თამბაქოსავით იაფი იყო, ახლა კი საერთოდ იმდენი მძლავრი მორბენალი ჰყავს, რომ ულაპარაკოდ უნდა დაიკავოს ადგილი მედლების დაფაზე პირველ ათეულში. იამაიკელები იაპონიაში სოლიდური გუნდით მიდიან, სულ 45 სპორტსმენს იახლებენ — 22 კაცსა და 23 ქალს და ამ სოლიდური რიცხვის დიდ ნაწილს სწორედ სპრინტერები შეადგენენ. ამ კარიბულ გვირგვინში ჩასმული ნამდვილი მარგალიტები არიან ასაფა პაუელი (100მ), რომელსაც ყველაფერი მოუგია გარდა მსოფლიოს ჩემპიონატისა და ოლიმპიადისა და ვერონიკა კემპბელი (ქალთა 100მ), რომელსაც ეკუთვნის სეზონის უსწრაფესი დროები როგორც 100 მეტრზე (10,89წამი), ასევე 200-ზე (22,39). ოქროს შეუტევენ აგრეთვე 200 მეტრზე მორბენალი კაცი უსამა ბოლტი და 100 მეტრზე თარჯმორბენალი ქალი ბრიგიტ ფოსტერ-ჰილტონი, რომელმაც 2003 და 2005 წლების ჩემპიონატებზე შესაბამისად ვერცხლი და ბრინჯაო აიღო და ახლა ყველანაირად ეცდება, ეს მედალოვანი კოლექცია ოქროთი შეავსოს. მედლის კანდიდატად ჩაითვლებოდა 2006 წლის უსწრაფესი ქალი შერონ სიმპსონიც, მაგრამ მას წლეულს არც 100 და არც 200 მეტრზე არ ურბენია გადასარევად. ზოგადად იამაიკას ისეთი ნიჭიერი გუნდი ჰყავს, რომ 4x100 მეტრზე ესტაფეტაში ქალებშიც და კაცებშიც ეცდება ამ მხრივ მონოპოლისტი ამერიკელების გასწრებას.

### დიდი ბრიტანეთი

ბრიტანელებს თავისთავად უფრო რიცხვმრავალი და თანაბრად დაკომპლექტებული გუნდი მიჰყავთ ოსაკაში, მაგრამ კონკრეტულად რომელ სახეობაში დაგეგმავენ უეჭველ ოქროს, ეს ჯერ თავადაც არ უწყიან. მათ 55-კაციანი გუნდი შეადგინეს (27 კაცი, 28 ქალი), ხოლო მათი დელეგაციის მეთაური დეივ კოლინზი ამბობს, სულ ცოტა, 8 მედალი გვინდაო. ბრიტთა გუნდში ვარსკვლავობენ სამხტომელი ფილიპს იდოუ და სპრინტერი მარლონ დევონიში, აგრეთვე გრეგ პიკერინგი, მაგრამ მათგან არც ერთი არაა მეგავასრკვლავი. ისე კი ბრიტანეთიც პოტენციური ათეულელია.

### პორტუგალია

პორტუგალია ბოლო წლებში ამაყობს ნიგერიისთვის წაღლეტილი ფრანსის ობიკველუთი, რომელიც ევროპაში 100 და 200 მეტრზე სირბილში მთავარ კაცად ითვლება და მსოფლიოზეც არ უნდა შეირცხვინოს თავი. მაგრამ მას გვერდიც ასაფა პაუელი დაუდგება. ასე რომ, დიდი შანსია, პორტუგალიას ობიკველუმ კი არა, სულ სხვამ მოუტანოს ოქრო. კარგ ფორმაში არიან, 1500 მეტრზე სირბილში ოლიმპიური ვერცხლის მედალოსნი რუი სილვა, სიგრძეზე მხტომელი ნაიდე გომეში და სამხტომელი ნელსონ ევორა. მედალი შეიძლება „ამოვარდეს“ სპორტულ სიარულში და მარათონშიც. მოკლედ, პორტუგალიას საკმაოდ ნიჭიერი გუნდი ჰყავს, მიუხედავად 25-კაციანი შემადგენლობისა.

### ესპანეთი

ესპანელებს ოსაკაში მეზობელ პორტუგალიელებზე ლამის ორჯერ მეტი სპორტსმენი ეყოლებათ. მათ 46 კაცს მოუყარეს თავი, მაგრამ მთავარი რომ ხარისხია და არა რაოდენობა, ეს მათ მიერ მოპოვებულ მწირ მედლებშიც აისახება. ბევრნი კი არიან, მაგრამ ხეირიანიც რომ არავინ ჰყავთ? ამ დროს ესპანეთის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ხოსე მარია ორდიოზილა ამბობს, შეიძლება, კიდევ დავამატოთ ჩვენს გუნდს ერთი-ორი ქალ-ვაჟიო. დაამატებს, რა ენაღვლება, იააფ-ში მასზე ზედა პოსტებზე ბევრიც არავინ ზის და ესეც თავის ნებაზე ზრდის და კერავს თანამემამულეთა უნიჭო გუნდის შემადგენლობას.

### დანია

აი, ეს გუნდი კი, ესპანელთაგან განსხვავებით, მართლა მოკრძალებულია: სულ 5 წევრით მიემგზავრება იაპონიაში და აქედან მხოლოდ ერთს, ბირთვის მკრელ იოახიმ ოლსენს აქვს მედლის პრეტენზია. ეს ბოხვერა ვიკინგი ევროპაში სეზონის საუკეთესო შედეგს ჰყრობს, მსოფლიო მასშტაბით კი ოდენ ორ ამერიკელს — ჰოფას და კანტველს ჩამორჩება.

### ინდოეთი

მილიარდზე მეტნი არიან, მაგრამ მძლეოსნობაში ისევე როგორც სპორტის სხვა ბევრ სახეობაში, ინდოელები საერთოდ ვერაფრით დაიკვეხნიან. ქვეყანაში, რომელშიც 25-მილიონიანი ქალაქია, ძლივს შეიკრიბა 13 ხეირიანი მძლეოსანი. სიტყვა „ხეირიანსაც“ ამ




ანჯუ ბობი ჯორჯი

შემთხვევაში პირობითად ვხმარობთ, რადგან ამ 13-დან (4 კაცი, 9 ქალი) არავინაა მედალთან ოდნავ დაახლოებული მაინც. თუმცა ერთი კი ჩანს და ჩვენი ბოდიში ინდოეთს: ანჯუ ბობი ჯორჯმა 2003 წლის პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატზე ქალთა სიგრძეზე ხტომაში ბრინჯაო მოიპოვა. ვინ იცის, ეს ახლაც შეძლოს? მით უმეტეს, რომ სეზონის საუკეთესო შედეგად 6,65-მეტრიანი ნახტომი აქვს, რაც მცირედ შანსს აძლევს.

**კოტე ყორშია**

# ამერიკამ ველოგუნდი დაკარგა

**„ტურ დე ფრანსის“ მომგები „დისქავერი“ წლის ბოლოს დაიშლება და გაქრება**



**ველოსპორტში** ლენს არმსტრონგის ერა სრულდება. „ტურ დე ფრანსის“ შვიდგზის მომგებმა ლეგენდარულმა ამერიკელმა კარიერა 2005 წელს დაასრულა, როცა უკანასკნელად მოიგო „ტური“ და ველო ფარეხში შეაყენა, მაგრამ მას შემდეგ ის თავის გუნდ „დისქავერში“ დარჩა, როგორც ერთ-ერთი მფლობელი და სპორტული მმართველი. მისი რჩევებით მთლად ახალგაზრდა ესპანელმა ალბერტო კონტადორმა წლეულს მოიგო „დიდი მარყუჟის“ უპრესტიჟულესი რბოლა და ამერიკაში 9 წელიწადში მერვედ ჩაიტანა „ტურის“ ყვითელი მაისურა, მაგრამ ამქვეყნად რომ მუდმივი არაფერია და, მით უმეტეს, არც სპონსორის კეთილგანწყობა, ეს საკუთარ ბორბლებზე გამოსცადა ამერიკაში ერთადერთმა ელიტარულმა ველოგუნდმა. „დისქავერი“ ამ სეზონს ჩაამთავრებს, გამოვა ესპანურ „ვუელტაზეც,“ შემდეგ კი დაიშლება.

„ეს ცუდი დღეა ველოსპორტისთვის და მით უმეტეს, ცუდი ამერიკული ველორბოლისთვის — ამბობს არმსტრონგი — ჩვენ ვამაყობთ ჩვენი შედეგებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი დღე დაგვიდგა, ჩვენ ვიშლებით“.

სატელევიზიო არხმა „დისქავერიმ“ ჯერ კიდევ ამა წლის დასაწყისში, თებერვალში გამოუცხადა გუნდის პატრონ-ხელმძღვანელებს, რომ 2007 წლის ბოლოს შეწყვეტდა გუნდის დაფინანსებას. ამათაც ბევრი ეძებეს ახალი სპონსორი, ამერიკა და ევროპა შეაჯერეს, მაგრამ ახლა ველოსპორტში დოპინგისა თუ სხვა მიზეზით აგორებული სკანდალებით ისეა წყალი ამღვრეული, რომ კარგი, ძლიერი გუნდისთვის არც ისე იოლია ხელგაშლილი სპონსორის შოვნა. არმსტრონგი ამბობს — „მე შევეცადე, დამერწმუნებინა ჩემი კომპანიები, რომ სპონსორის ძიება გაგვეგრძელებინა. ამისთვის რამდენიმე თვე გვექნებოდა, მაგრამ სხვებთან ერთად ბოლოს მეც იმ დასკვნამდე მივედი, რომ დროა, ყველაფერი დავამთავროთ, დავიხიოთ უკან. ძალიან სამწუხაროა, რომ გუნდი იშლება. კიდევ გეუბნებით, ეს გუნდი ძალზე წარმატებული იყო და ჩვენ ცდა არ დაგვიკლია, რომ სწორედ ასეთი ყოფილიყო, მაგრამ დრო და სიტუაცია გვკარნახობს სულ სხვა ნაბიჯის გადადგმას“.

შესაძლოა, გუნდის ფინანსური საძირკვლის რყევა შარშან დაიწყო, როცა „დისქავერიმ“ აიყვანა 2005 წელს არმსტრონგის ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე, ივან ბასო და მას არმსტრონგის საქმის გაგრძელება, ანუ „ტურის“ მოგება დაუსახა გეგმად. ბასოს კი დოპინგის მიღებაში დასწამეს ცილი (ყოველ შემთხვევაში, ბრალი მას საბოლოოდ ვერ დაუმტკიცეს). თანაც ჩაუვარდა 2006 წლის ტური. წლეულს კი ყველაფერი გადასარევად მიდიოდა — ნიჭიერ ახალგაზრდა ალბერტო კონტადორს მიქაელ რასმუსენის დისკვალიფიკაციის შემდეგ ტურის ჩემპიონობა შეხვდა, ხოლო მისი თანაგუნდელი, ამერიკელი ლევი ლეიფჰემერი, მესამე ადგილზე გავიდა, რაც აგრეთვე დიდი წარმატებაა და ამას ბევრი გუნდი ამაოდ ნატრულობს. მაგრამ ფაქტი მაინც ჯიუტია და თან სახეზეა — „დისქავერი“ იშლება.

ახლა კონტადორსაც, ლეიფჰემერსაც და კიდევ 25 მრბოლს ახალი გუნდის მოძებნა მოუწევთ. გუნდის ხელმძღვანელები დარწმუნებულები არიან, რომ მათ სხვები პირდაპირ დაიტაცებენ. ოღონდ ეგაა ცუდი, რომ ძლიერი ველოქვეყანა გამოდის დიდი ბრძოლიდან.

**კოტე ყორშია**

# ანდრეას კლოდენი ასტანას ემიჯნება



**დოპინგსკანდალებისგან** მაგრად შეზანზარებული ყაზახური ველოგუნდის „ასტანას“ გერმანელმა მრბოლმა ანდრეას კლოდენმა განაცხადა, რომ 26-30 სექტემბერს შტუტგარტში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის არა გუნდთან ერთად, არამედ ინდივიდუალურად მოემზადება.

„გეგმები სხვანაირი გვქონდა, მაგრამ ბოლო ხანს განვითარებული მოვლენების გამო ისინი შევცვალე და შვეიცარიაში მდებარე „ასტანას“ სავარჯიშო ბანაკში წასვლა გადავიფიქრე. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ინდივიდუალურად, ჩემი პირადი მწვრთნელის ტომას შედივის ხელმძღვანელობით მოვემზადები“ — განაცხადა კლოდენმა, ვინც ახლახან დასრულებული „ტურ დე ფრანსის“ ბოლომდე გავლა იმიტომ ვერ შეძლო, რომ ასტანელთა ყაზახი ლიდერი ალექსანდრ ვინოკუროვი დოპინგის მიღებაში ამხილეს და მთელი გუნდი მოიხსნა რბოლიდან.

„ასტანას“ ხალხიდან ვინოკუროვამდე მატიას კესლერი ჩავარდა დოპინგზე, ხოლო სულ ახლახან ანდრეი კაშეჩკინიც ამხილეს და თანაც, ვინოკუროვიცა და კაშეჩკინიც დოპინგის ყველაზე ბინძურ ფორმაში, ჰემოტრანსფუზიაში, ანუ სისხლის გადასხმაში არიან ბრალდებულნი.

„არავის გაკიცხვას არ ვაპირებთ, მაგრამ არ მესმის იმ მრბოლების, რომლებსაც ვერ გაუგიათ, თუ თავიანთი საქციელით რამხელა ზიანს აყენებენ როგორც საკუთარ თავს, ისე მთლიანად ველოსპორტს“ — ბრძანა 32 წლის კლოდენმა, ვინც „ასტანაში“ გადასვლამდე რვა წელი გერმანული „T-მობაილის“ ღირსებას იცავდა.

წლევანდელ „ტურზე“ მომხდარი მოვლენების შემდეგ გერმანელი მრბოლი, თურმე კარიერის დასრულებაზეც კი დაფიქრდა, მაგრამ შემდეგ მაინც გადაწყვიტა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა. „ველოსპორტი უბრალო სამუშაო კი არ არის, ის ჩემი ვნებაა და მას ასე ადვილად ვერ მივატოვებ“ — თქვა ანდრეასმა.

# ესპანური უარი ყაზახებს

**დოპინგის მიღებაში** მხილებულებს ალექსანდრ ვინოკუროვსა და ანდრეი კაშეჩკინს სავარაუდოდ ორ-ორი წლით მოკვეთავენ ველოსპორტიდან. ამას ისიც ემატება, რომ სახელგატეხილ გუნდში დარჩენას, ალბათ ანდრეას კლოდენიც აღარ ისურვებს და გამოდის, რომ „ასტანას“ ლიდერი არ ეყოლება. თუმცა, ყაზახური ველოგუნდისთვის უსიამოვნო ამბები ამით არ დასრულებულა — სეზონის მესამე და ბოლო სუპერრბოლის, 1 სექტემბერს დასაწყები ესპანური „ვუელტას“ ორგანიზატორებმა უკან წაიღეს „ასტანელთათვის“ გაგზავნილი მოსაწვევი, ანუ ყაზახური გუნდი „ვუელტაში“ მონაწილეობას ვერ მიიღებს.

„უკანასკნელი დოპინგ-სკანდალებიდან გამომდინარე, ჩვენ უკან წავიღეთ ჩვენი მიწვევა — ნათქვამია „ვუელტა ესპანას“ ორგანიზატორთა ოფიციალურ განცხადებაში — ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ „ასტანას“ ხელმძღვანელობამ აუცილებლად უნდა მოძებნონ დამნაშავე. ჩვენ თანავუგრძნობთ „ასტანას“ იმ მრბოლებს, რომლებიც სხვათა გამო დაისჯებიან, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში სხვა არჩევანი ნამდვილად არ გვქონდა“.




**ასტანელთა მანქანა ესპანეთში არ შეუშვეს**

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი „ვუელტა“ სწორედ „ასტანელთა“ და თანაც, წლეულს დოპინგის მიღებაში მხილებულთა ტრიუმფით დასრულდა — ვინოკუროვი ჩემპიონი გახდა, კაშეჩკინი კი მესამე იყო.



ერიკ ცაბელი

# გერმანიის ტური გერმანულად დაიწყო

**„გერმანიის ტური“** „ტურ დე ფრანსთან“, „ჯირო დიტალიასა“ თუ „ვუელტა ესპანასთან“ ვერც ტრადიციებით მოვა, ვერც პრესტიჟითა და გაქანებით, თუმც თავად გერმანელები ძალიან ცდილობენ, რომ თავიანთ რბოლას მეტი ინტერესი ჰქონდეს.

რიგით მეათე „გერმანიის ტური“ გასულ უქმეებზე დაიწყო საარბრიუკენში. პირველი, 184-კილომეტრიანი ეტაპი სწორედ ამ ქალაქის შემოგარენში ჩატარდა და გერმანული „გეროლშტაინერის“ გერმანელი მრბოლის, რობერტ ფიორსტერის გამარჯვებით დასრულდა. ფიორსტერმა ფინიშამდე მიღწევას 41 საათი, 24 წუთი და 16 წამი მოანდომა და ბოლო მეტრებზედა აჯობა სპრინტის ისეთ დიდოსტატებს, იტალიელი დანილო ნაპოლიტანო („ლამპრე“) და ვეტერანი გერმანელი ერიკ ცაბელი („მილრამი“) რომ არიან.

მეორე ეტაპს, 42-კილომეტრიან გუნდურ რბოლას ბრეტენში უმასპინძლა რბოლა დანიური CSC-ის წევრებმა მოიგეს, რომლებმაც 42 კილომეტრის გავლას 51 წუთი და 40 წამი მოანდომეს. ამერიკული „დისქავერი“ მეორე იყო დანიელებთან 25-წამიანი ჩამორჩენით, ხოლო მესამე ადგილზე გასული „გეროლშტაინერი“ CSC-ის 55 წამით ჩამორჩა.

მესამე ეტაპი პფორცჰეიმიდან ოფენბურგამდე 182 კილომეტრზე იყო გაჭიმული და გამარჯვებულის საკითხი კვლავაც ბოლო მეტრებზე გადიჭრა. ამჯერად ცაბელმა ივარგა — ვეტერანმა ძველი დრო გაიხსენა და ესპანელ ხოსე ხოაკიმ ხილსა და ავსტრალიელ ბრედლი მაკგის შანსი არ დაუტოვა.

სამი ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლაში გუნდური რბოლის მომგები CSC-ის წევრები ლიდერობენ — პირველზე გერმანელი იენს ფოიგტია, ვისაც ოდენ წამით ჩამორჩებიან ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონი, შვეიცარიელი ფაბიენ კანცელარა და ამერიკელი ბობი ჯულიჩი.

# მორენის ორი წელი

**ფრანგული** „კოფიდისის“ იტალიელი მრბოლი, კრისტიან მორენი, ვისაც წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე“ დოპინგსინჯმა ტესტოსტერონის მომატებული რაოდენობა აღმოუჩინა, სავარაუდოდ, ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაისჯება.

ყოველ შემთხვევაში, იტალიის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა სწორედ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და ამ ორგანოს განაჩენი იტალიაში ვინმეს გაესაჩივრებინოს, ასეთი ფაქტი ძნელი გასახსენებელია.



# ჟენევური შეჯიბრი

ამ დღეებში ჟენევის ფესტივალზე მიმტანთა უკვე ტრადიციული გარბენი გაიმართა. 87 მიმტანს კილონახევრიანი ლანგარი, ზედ ორი ჭიქით და ორი ბოთლით კილომეტრნახევარზე უნდა გაექცუნებინა.



# ყინული მანილაში

მანილაში აზიის საციგურაო ჩემპიონატი გაიხსნა, აქ მთელი აზიის 700 მოციგურავეა შეკრებილი. საინტერესო კი ისაა, რომ ტროპიკული ფილიპინების დედაქალაქში ყინულის შეჯიბრი პირველად ტარდება.



# მტვერი

აი, გვარიანი მტვერი ააყენა ამ უვალში ინდოელი ნარენ კუმარისა და ახალზელანდიელი ჯეფ ჯადის „მიცუბიშიმ". აზია-პასიფიკის რალის ეს, მალაიზიური მეხუთე რაუნდი კი ავსტრალიელებმა კოდი კროკერმა და ბენ ატკინსონმა მოიგეს.

# წყვილად

ეს გოგო ისე ალტაცებულია, რომ ერთბაშად ორი ფოტოაპარატით უღებს სურათებს კანოეს ნაოსნობის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებს. გერმანული დუისბურგის სანყლოსნო ცისქვეშეთში 90 ქვეყნის 852 მენავე შეკრებილა.



# ბორატი ბონდი ბიჩზე

ბონდი ბიჩზე, სიდნეის მიდამოში კიდევ ერთხელ გაიმართა „სითი თუ სარფის" საოხუნჯო გარბენი, რომლის სიგრძეც 14 კილომეტრია და მასში 65 ნლამდე რაგინდარა გუნების კაცი მონაწილეობს ხოლმე. წლეულს საქმე ტანზანიელმა დიკსონ მარვამ მოიგო, ჟურნალისტებს კი ბორატივით ჩაცმული კაცი მოეწონათ.



AFP

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ფორჩხიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ ტურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზეიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00